

გაზეთის ახირებულ სიყვარულსა და ერთგულებაზე...

არაფერი სიგარტლის გარდა!




„ბაღდის კანიონი“ ინვესტორის ხელში გადავიდა 6

ნეოტროსკისტები ჩვენი ეკლესიის დაუქინებელი მტრები არიან!



...ეს რომ ვატიკანი და რომის საფლოვალო იყოს, არავის გაუკვირდებოდა მეუფე უიოს მოწამელის აგზავნი 5



ომარ მარგველაშვილი:
ვინ ვერ უვლის „მზის და ვაზის მირონის“ ქალაქს და მის შემოგარენს?! 9

საგურამოს შესასვლელი აყროლდა!

გიორგი გომოლაშვილი - 75
ენას უნდა ჰყავდეს პატრონი, რომ არ გაუჩნდეს ბატონი! 8



ბიან აბაშიძე:
თუკი ზურაბიშვილს თავის დასვა სურს და სააკაშვილის ავანტიურა შეწყალება არა აქვს გადაწყვეტილი, მაშინ უნდა გვითხრას საჯაროდ, რომ დავებმაროთ!.. 4

თამარ ჩიბურდანიძე:
კული დებანაშვილი განადგურა აშერიკის ინიჯი სპარტოელოში 5



ქართველ მესნიერ-ისტორიკოსთა წერილი სომხეთის პრემიერ-მინისტრს ნიკოლ ფაშინიანს 9





ირაკლი ლაშვილი სორბატის რესპუბლიკაში გაემგზავრა

30 ივლისს ფარგლებში პრემიერ-მინისტრი მალაი დონის ორმხრივ შეხვედრებს გამართავს. ასევე, ირაკლი ლაშვილი ხორვატიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს გახსნის დონისძიებას დაესწრება. მთავრობის მეთაური ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში დელეგაციასთან ერთად გაემგზავრა.

„ჩვენებურები“ და თორნიკე რიჟვაძე

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ, თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრები გამართა თურქეთის კავკასიურ-ქართული ასოციაციების ფედერაციაში დიასპორულ ორგანიზაციებთან და თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან.

თორნიკე რიჟვაძემ საერთაშორისო ფესტივალ „ჩვენებურების“ სახელით გახსნაში მონაწილეობა მიიღო და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა. აჭარის მთავრობის მეთაურმა ხაზი გაუსვა ფესტივალის და ქართული დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის მნიშვნელობას, რაც არსებითად როგორც ქართული კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაციის, ისე ორ ქვეყანას შორის არსებული ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებისთვის.



კავკასიურ-ქართული ასოციაციების ფედერაციის ორგანიზებით საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „ჩვენებურები“ არაერთი წელია იმართება. წელს ფესტივალი განსაკუთრებული მასშტაბით, ბურსას რეგიონის 5 მუნიციპალიტეტში იმართება. ფესტივალში მონაწილეობა აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „არსიანმა“ და თურქეთში მოღვაწე ანსამბლ „ჩვენებურებმა“ მიიღეს.

ანაკლიის ბანაკი ღვიძილ ბავშვებს მასპინძლობს

ანაკლიის ახალგაზრდული ბანაკი აგრძელებს მონაწილეების მიღებას. 23 ივლისიდან 6 აგვისტოს ჩათვლით ბანაკს ორ ნაკადად იძულებით გადაადგილებული პირები სტუმრობენ. სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“ მათ ინტერაქტიული პროგრამა მოუმზადა, რომლის ფარგლებში დაანარჩენ მონაწილეებთან ერთად, იძულებით გადაადგილებული პირები ჩაერთვებიან

სპორტულ ოლიმპიადაში და შეჯიბრებებში ერთმანეთს სპორტის ხუთ სახეობაში: კალათბურთში, ფეხბურთში, ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში.

ორგანიზატორი კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „ახალგაზრდობის სააგენტო“. ღონისძიების პარტნიორი – სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია. ბანაკში იმყოფებიან 14-დან 18 წლამდე ახალგაზრდები საქართველოს ყველა რეგიონიდან. მათი შერჩევა მოხდა სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინირებით. წელს ბანაკები მასპინძლობენ აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან დევნილ ახალგაზრდებს, სოციალურად დაუცველი ოჯახის შვილებს, სახელმწიფო ბრუნვის ქვეშ მყოფ ახალგაზრდებს და სხვებს.



„ღვინო და მაიაკოვსკი“

ბაღდათში
ვლადიმერ მაიაკოვსკის
დაბადებიდან

130 წელი აღინიშნა
„ღვინო და მაიაკოვსკი“ ამ სახელწოდებით მალდათის მუნიციპალიტეტში, ღონისძიებები ორი დღე მიმდინარეობდა. პოეტის სახლ-მუზეუმის საექსპოზიციო დარბაზში სალონური საღამო მოეწყო, სადაც კიდევ ერთხელ ისაუბრეს მაიაკოვსკის შემოქმედებასა და მოღვაწეობაზე, მალდათის სახალხო თეატრის დასმა კი მაიაკოვსკის პოეზია სცენაზე გააცოცხლეს. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის ეზოში მოეწყო ადგილობრივი მეღვინეების, ღვინის გამოფენა-გაყიდვა და რეჟისორ ნამუშევრების ბაზრობა. ღონისძიებების ფარგლებში გაიმართა ჟურნალ „მალდათური ვოიაჟი“-ს და მწერალ ტარიელ ცხვანაძის წიგნის პრეზენტაცია.



დღევანდელი სერტიფიკატები გადაეცა კოლექტივს „ღვინო და მაიაკოვსკი“ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც მალდათის ტურიზმის განვითარების მიმართულებით სასწავლო კურსი გაიარეს, ვლადიმერ მაიაკოვსკის 130 წლის საიუბილეო საღამო მუსიკალურად ადგილობრივმა შემსრულებლებმა გააფორმეს. ღონისძიებები რომელიც მუნიციპალიტეტში ორი დღე მიმდინარეობდა, მალდათის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის, ტურიზმის განყოფილების, კულტურის სამსახურის, ა.ა.ი.პ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის და კოლექტივ „ღვინო და მაიაკოვსკი“ ორგანიზებით მოეწყო. ვ. მაიაკოვსკის იუბილე მალდათის მუნიციპალიტეტში ტრადიციულად ყოველ წელს მასშტაბურად აღინიშნება.



სალ ლაშვილი და სალ ხოლიშვილი პოლიტიკა?

მაინც, როგორი მიაბიტნი ვართ ამომრჩევლები – მას შემდეგ, რაც ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო საზოგადოებრივ შეხვედრებში გავიდა, რატომღაც გვეგონა, რომ გასართობი მოგვაკლდებოდა, მაგრამ ტრადიციული ოპოზიციის გვიდღეობის დემონსტრაცია და მოსაწყენად გვექნება საქმე?

ფილმში „დავით გურამიშვილი“ გაუღრმებულ აქტივობას – „ატამანს ნუ აუხირდები, ეგორ“ – აქტუალობა დღემდე არ დაუკარგავს. მიაქცევდით ყურადღებას – ამჯერად თამაშგარე მდგომარეობაში დავტოვებთ ფუმფულა თოჭინა, მაგრამ ვიმედოვნებთ, ძვირფასი ლევიანი არ გვიწყენს: მისი ნატურა მომავალი ყურადღების გარანტია! მერე რა, რომ დიდ გაუგებრობაშია ჩავარდნილი.

თანაც, გაითვალისწინეთ – წელიწადის ყველაზე თბილი სეზონისთვის ჩვეულებრივად ეს-ესა დაიწყო და, წარმოიდგინეთ, როცა ტემპერატურა 40-ს გადასცდება და თავარა მზე ჰალსტუხიან კლოუნთა გახურებულ შუბლებს კიდევ უფრო დააჭერს, მაშინ რა სვეტები გველოდება?

გასული კვირის უმნიშვნელოვანეს საკადრო მოვლენად იქცა აგრეთვე მამუკა ხაზარაძის მიერ ახალი პოლიტიკური ცენტრის დაარსება, რომელმაც „ლელოს“ ლიდერის სტრატეგიული გათვლებით, ორი მონსტრი – „ქართული ოცნება“ და „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა ჩაანაცვლოს. და არ იკითხავთ, ვინ ამოიყენა გვერდით? – დიას, თავისთავით ურეიტინგო უმბლიყლაპია ხოშტარაის „დროა“ და შარვალჩახდილი, დედაეკლესიის მგომბელი სატანისტი გიორგი ბურაბ ჯაფარიძე.

ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს ვაშაძის, როგორც მომთაბარე ტომის წევრის მსგავსი არსების წარსული გვაძლევს, რომელიც მზადაა წამიერი განცხრომის საფასურად ეშმაკსაც კი გაურიღვს. ალბათ, ამის შედეგად, ეს „დიმოვი“ კარიერისტი თვით წერილობითადაა ყოფილია თანამგმობლებმა – სამხიდე-ქეზადიან-ნაკადის ტრიომაც რომ ვამოთხრა და ე. წ. რეფორმების ჯგუფიდან გარიცხვითაც რომ დაემუქრა.

სხვათა შორის, დასახელებულ ტრიოში მხოლოდ წამყვანი ფიგურაა ახალი, თორემ უკანასკნელი ორი აქამდე მგზნებარე სტრატეგოს „ჭიჭეს“ კალთას იყო შეფარებული. დავკვირდებით, პოლიტიკური გამჭრიახობა სულაც არაა საჭირო საიმისოდ, რომ განვაცხადოთ: ახალშობილ სამაიას ტრიუმფალური მომავალი ეჭვანება!

აღარაფერს ვამბობთ „ვივამედის“ ლუქს-პალატაში მონებურე მამობლის მიერ მშობლიური ნაცარტიდან მის სკანდალურ გამოპანდურებაზე. ასეა – პოპულარულ ქართულ

და მოლოს: მართალია, აქამდე ექსპრემიერ გახარაის პირში „საქართველოსთვის“ კატეგორიულად გამორიცხავდა ვინმესთან თანამშრომლობას ან ბლოკის შექმნას, მაგრამ ხომ იცით, ადრე თუ გვიან ყველაფერი გამოდის სამზოვზე. ჰოდა, თურმე თვით ეკა მესელია გაუხდია მეკავშირედ. არ გჯერათ?

ბი ა პ ლ ა ტონი შვილი


ეკონომიკის სამინისტრომ 367 ღვიძილ ოჯახს უძრავი ქონება დაუკანონა!

ეკონომიკის სამინისტროს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო და ჯანდაცვის სამინისტრო ამ საკითხთან დაკავშირებით აქტიურად თანამშრომლობენ – ჯანდაცვის სამინისტროს შუამდგომლობის საფუძველზე დევნილობის უძრავი ქონების, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების დაკანონების პროცესი უკვე რამდენიმე წელია, ინტენსიურად მიმდინარეობს. შესაბამისად, წლიდან წლამდე უმჯობესდება დევნილ ოჯახთა როგორც საცხოვრებელი, ისე სოციალური პირობები.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, ვერძოდ, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო ამ საკითხზე მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს მუშაობას.

მხოლოდ მიმდინარე, 2023 წელს საერთო ჯამში საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 704 დევნილ ოჯახს 751 უძრავი ქონება გადაეცა. მთავრობის გადაწყვეტილებით დევნილობის დაკანონებული უძრავი ქონება ამჯერად ქვეყნის პრაქტიკულად ყველა რეგიონში მდებარეობს - თბილისში, ქუთაისში, ჩხოროწყუში, შიდა ქართლში, თელავში, მცხეთაში, მორჭომში, ქვემო ქართლში, სამეგრელოში, იმერეთში, მათუშა და რაჭა-ლეჩხუმიში.

დევნილი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება საქართველოს მთავრობის ერთ-ერთი გაცხადებული პრიორიტეტია, მათ შორის ფაქტობრივ საკუთრებაში არსებული ქონების დაკანონების კუთხით. საქართველოს



არაფერი სიმართლის გარდა!

გაზეთის ახირებულ სიყვარულსა და ერთგულებას...

დღევანდელთა პირდაპირი ოქროს ხანა პრესისთვის: წერე, რაც გინდა, როგორც გინდა, წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნე თუ ხარ, მით უფრო.

გადასული გზების, ჩართული ტელევიზორის და თავზე გვერდებზე ცნობები, ინფორმაციები, რომელთაც ხშირად სიმართლესთან თითქმის არაფერი აქვთ საერთო. არავითარი პატივისცემა ქართულ ენას, ქართულ გრამატიკას, არავითარი კრიტიკული დამოკიდებულება იმასთან, რასაც წერ, რასაც ამბობ.

ჰოდა, მივუტყვი ტელევიზორს და მოვისმინე საიქიოდან ეს-ესაა მომზადებული საქართველოს მე-სამე პრეზიდენტის გმირული განცხადება: „ახლა მთავარია არ შეგეშინდეთ, მე ხომ არ შემშინებია აქ ჩამოსვლის, თუმცა, ზუსტად ვიცოდი, რომ შეიძლებოდა მოვეკალი. ნურც თქვენ შეგეშინდებათ. რუსეთი მარცხდება და ჩვენ აფხაზეთი გვაქვს გასათავისუფლებელი. მე ჯერ უკრაინის საბოლოო განთავისუფლებაში მაქვს მონაწილეობა მისაღები და შემდეგ სოხუმში ვაპირებ პაიკს (კურორტი იტალიაში - ბ.ბ.) აშენებას“.

როგორც ხვდებით, ამ ნაწყვეტში ყოველი სიტყვა სიცრუეა, ტრამპია, დაუჯერებელია.

ან გიული აღასანია: „პოლონელ ექიმთან დაკავშირებით ინციდენტი პენიტენციურმა სამსახურმა მოაწყო“.

მოგონება არ გინდა???

მაგრამ მთელი ეს მახინჯი ქმნილებები, რომლებიც შავის გათეთრებას ცდილობენ, სულ ჩამოიშალა მას შემდეგ, რაც აშშ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა დედა-შვილის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიების აქტივობების სია. გამოქვეყნებული ინფორმაციებიდან ვიგებთ, რომ აქტივობებს შორის, რომლებიც ლობისტურმა კომპანიებმა განახორციელეს, არის რეზოლუციების დაწერა და ევროპარლამენტისთვის მიწოდება, სააკაშვილის შესახებ სტატიების მომზადება, კომუნიკაცია ევროპარლამენტარებთან... ირკვევა, რომ ერთ-ერთი საკომუნიკაციო პირი იყო, არც მეტი, არც ნაკლები, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულეზა!..

დამოლოს: „დედაჩემს „ვიგამედთან“ ტვ „ნადეუდას“ (მაყროსს, ვითომ „იმედის“ - ბ.ბ.) და მოპარული „რუსთავი 2“-ის წარმომადგენლები და იურისტები დახვდნენ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებაში დაადანაშაულებს. რატომ მიწა არ გასკდება და არ ჩაიტანს ამდენ უტიფარ და ყოველგვარ ზნეობას მოკლებულ ცრუპენტელას. თურმე ქართული სახელმწიფოს შემქმნელის დედა არის ანტისახელმწიფოებრივი“...

თავმდაბლობა და ასეთი?!

ბი, ასე: ტელევიზორს მართლაც ყველაფერი შეუძლია, სირცხვილისგან გაწითლები

გარდა. ოლონდ, ერთი კია, ტელევიზორი დღეს ფაქტობრივად ცალუდელად ეწევა ჯანს. ურნალისტიკა ტელეურნალისტიკამდე დავიდა, კითხვა-ყურებამდე. გაზეთი თითქოს მოკვდა, თითქოს ატავიზმად იქცა. ოლონდ, სინამდვილეში ეს ასე არ არის. გაზეთის (ურნალ-გაზეთების) კითხვა ჯერ კიდევ არ გადაგრდნილა ადამიანის ჩვეულებათაგან.

ამიტომ ვებლაუჭებით 21-ე საუკუნის ურნალისტიკა (კალმოსანი ურნალისტიკა) ამ საქმეს. ამიტომ მიხალისდება გული, როცა დილაობით ჯიხურთან კაცს დავინახე, იქვე რომ ჩაპკრავს ხოლმე თვალვებს ახალშეძენილ გაზეთს. ამიტომ მითვება გული, როცა სათაურს წავიკითხე - „საქართველოს რესპუბლიკა“, განა მხოლოდ იმით, რომ ამ უხნესი ქართული გაზეთის ვეტერანი მკითხველი ვარ. არამედ იმით, რომ ამ გაზეთის ვეტერანი ურნალისტი ვარ, მის ფურცლებზე მიზრძოლია, მიზრობია, მიფხიზლია, მწყენია, გამხარავია...

დღეს „საქართველოს რესპუბლიკის“ 105-ე წლისთავია. მახსენდება ის ძვირფასი სახეები, რომლებთან ერთადაც ვიყავი უღელში შემული ათობით წლის მანძილზე: არამაზ სანებლიძე, გურამ გოგიაშვილი, რუსლან რუსია, გურამ გომართელი, მონდო გულიაშვილი, ოთარ ხუციშვილი, არჩილ მანჯგალაძე, ვალიკო სიმონიშვილი, ელგუჯა ლებანიძე, ვილენ მარდალეიშვილი, გივი ჩიქვინიძე, ნანული ბარათაშვილი, ნანა ღვინჯაძე... ისინი უკვე აღარ არიან. სამაგიეროდ ჯერ კიდევ ხმაურობენ ნუგზარ ფოფხაძე, მინდია უგრეხელიძე, არჩილ გოგელია, სპარტაკ ქობულია...



თავ უწუქიანა კინოს სფეროს ნარკომალბანლბთან უხვალრა გაპარტია

კულტურის მინისტრის მოწვევით, კინოს სფეროს წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის შედეგად სხვადასხვა კინოხელოვანის მიერ მომზადებული პროექტები განიხილეს, რომლებშიც წარმოდგენილია კინოს სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და რეფორმის, არსებული პრობლემების აღმოფხვრის ხედვები და ამ საკითხებთან დაკავშირებული ინდივიდუალური მიდგომები.

დისკუსიისას გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებები კინოცენტრის მენეჯმენტთან, ბიუჯეტის განაწილებასთან, კონკურსების ჩატარების წესთან და შეფასების კრიტერიუმებთან დაკავშირებით.

მოქანდაკე სტუდენტთა სიმპოზიუმს „მუზა“ მასპინძლობს!

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მხარდაჭერითა და თბილისის არქიტექტურა და სკულპტურა ასოციაციის ორგანიზებით მერაბ მერძენიშვილის სახელობის კულტურის საერთაშორისო ცენტრში „მუზა“ გაიხსნა „ქანდაკების | სტუდენტური სიმპოზიუმისთვის“ შექმნილი ნამუშევრების გამოფენა.

ლონისძიებმა კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თავა წულუკიანი, თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის რექტორი ყარამან ქუთათელაძე, საქართველოს კულტურის ფონდის თავმჯდომარე თამაზ შილაკაძე, თბილისის არქიტექტურა და სკულპტურა ასოციაციის თავმჯდომარე ლევან სალუქვაძე და მოქანდაკე, სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტის პედაგოგი ლევან მუხაშვილი ესწრებოდნენ.



კულტურის ცენტრ „მუზის“ ეზოში წარმოდგენილია თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების სპეციალობის სტუდენტთა მიერ ახლებური ხედვით შექმნილი ექვსი სკულპტურული კომპოზიცია. ლონისძიებმა დამთავალიერებელს ურბანულ ქანდაკებასთან დაკავშირებული იდეებისა და მხატვრულ-გამომსახველობითი ამოცანების გადაწყვეტის თანამედროვე ტენდენციების გაცნობის საშუალებას მისცეს. სტუდენტები სიმპოზიუმის ფარგლებში გამოცხადებული კონკურსით შეინჩნენ. მათ წინასწარ მომზადებული ესკიზის მიხედვით ორი კვირის განმავლობაში იმუშავეს. სიმპოზიუმის თემა იყო „სკულპტურული ფორმა თანამედროვე ურბანულ კულტურულ სივრცეში“.

სიმპოზიუმის ყველა მონაწილეს სამახსოვრო დიპლომი გადაეცა. სტუდენტური სიმპოზიუმი „ქანდაკების ფესტივალი 2023“-ის II ეტაპის პირველი ღონისძიებაა. ფესტივალი კულტურის სამინისტროს მიერ გამოცხადებული კონკურსის - „კულტურის სექტორში თავისუფალი პროექტების ხელშეწყობა“ - გამარჯვებული პროექტია. თბილისის არქიტექტურა და სკულპტურა ასოციაციის ორგანიზებით უკვე გაიმართა ცნობილი ქართველი მოქანდაკის, ნიკოლოზ კანდელაკისა და მავშვთა და მოზარდთა სკულპტურული ნამუშევრების გამოფენა. ამის გარდა, ფესტივალის პროგრამა ითვალისწინებს საგანმანათლებლო-შემეცნებით ლექციებსა და დისკუსიებს. ფესტივალის მიმდინარეობისას ქვეყანას უცხოელი ხელოვანები ესტუმრებიან, რაც ხელს შეუწყობს მჭიდრო შემოქმედებით ურთიერთობასა და ქართული ქანდაკების პოპულარიზაციას. „ქანდაკების ფესტივალი 2023“ მიმდინარე წლის ოქტომბრის ბოლომდე გაგრძელდება.

თქვე უბაღურკაბო, რისთვის ჩახვალდით ჭოკვილაში?

მქსპერტი ლევან ნიკოლიშვილი მიძინა ივანიშვილის ოჯახის შესახებ „ტვ პირველის“ ეთერში გასულ სიუჟეტს სოციალურ ქსელში ეხმიანება.

...როგორ უნდა დაეშვას და გაუმედურდეს მელია და ურნალისტიკა, ამის მაგალითია ნოდარ მელაძე თავისი რეალობიდან ამოვარდნილი გუნდით. რატომ გავარდნენ ჭოკვილაში და რაზე გააკეთეს სიუჟეტი, რომ ვნახე უკვე აღარც შემეცოდნენ, უბრალოდ მიეხვდი, ამათ არაფერი არ ეშველებათ. მიძინა ივანიშვილმა თავისი ქონება ეკატერინე ხვე-

დელიძეს გადაუფორმა და მერა ივანიშვილი ქონების ვარუშე დატოვაო.

ჯერ ერთი, ივანიშვილი საკუთარ მეუღლეს და შვილებს რას მისცემს ვის რა საქმეა და მეორეც, ამაზე მნიშვნელოვანი საქმე არ გაქვთ? თუმცა რას იზამ, ეს არის ყვითელი პრესაც და მედაც, რეალურადაც ასეთი „სკანდალებით“ იკვებებიან. ჩვენი მეგობარი უცხოელები რას იტყვიან, „მაგანი ინფორმაცია“ მიიღეს „კრიტიკული მედიდან“ თუ ისევ ვერ გაამართლეს?...

ახდენს თუ არა საქართველოს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილმა „მეზობარი აბნებურა“ გეგმას, რომ მან მიხეილ სააკაშვილი შეიწყალოს?

რომელიმე ხელისუფლებაში ამბობენ, ზურაბიშვილმა ზეწოლა აწესებდა და არ გამოიხსნა ვინ, რომ ეს ზეწოლა კიდევ უფრო გაძლიერდეს. მათ ამ ეჭვებს ის ფაქტები უმყარებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ლობისტების ერთ-ერთი პუნქტს, სწორედ ზურაბიშვილის დარწმუნება წარმოადგენს, რომ მან ექსპრეზიდენტი შეიწყალოს.

ასევე, უკვე დადასტურებული ინფორმაციით, ლობისტებმა და სააკაშვილის ადვოკატებმა ნიუ-იორკში სალომე ზურაბიშვილთან შეხვედრაც სცადეს. მოთხოვნა ექსპრეზიდენტის შეწყალება უნდა ყოფილიყო. ფაქტს მოქმედი პრეზიდენტის ადმინისტრაციაც ადასტურებს, თუმცა განმარტავს, რომ ზურაბიშვილთან აუდიენცია არ შემდგარა.

„ამ-ში საქართველოს პრეზიდენტის სამუშაო ვიზიტისას, მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის, მასიმო დი ანჯელოს მხრიდან იყო პრეზიდენტთან დაკავშირების მცდელობა, რათა გამართულიყო შეხვედრა. ეს თხოვნა არ დაკმაყოფილდა“, – განაცხადეს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში. კომპანია „აკურმანს“ სააკაშვილების ოჯახი უკვე თითქმის ერთი წელია ქირაობს. ლობისტური საქმიანობისთვის ექსპრეზიდენტის გარემოცვას ასეულობით ათასი დოლარი უკვე გადახდილი აქვს, მათ შორის ნაწილი ნაღდი ანგარიშსწორებით.

ზურაბიშვილზე მძლავრი ზეწოლა მიდის, რომ სააკაშვილის შეწყალებაზე სიტყვები „არა და არასდროს!“ უკან წაიღოს, შეიძლება გაუჭირდეს კიდევ თავის დაღწევა“, – ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა, რითაც უკასუხა კითხვას, თუ როგორ შეაფასებს იმას, რომ ამ-ის იუსტიციის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ დოკუმენტების თანახმად, „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი ლობისტები სააკაშვილის გათავისუფლების ინსტრუმენტად ზურაბიშვილის ფაქტორს განიხილავს.

მდინარაძე აცხადებს, რომ მძლავრი ზეწოლის მიუხედავად, ზურაბიშვილს გაუჭირდება საკუთარი სიტყვების უკან წაღება.

ანალიტიკოსი გია აბაშიძე მიიჩნევს, რომ სალომე ზურაბიშვილის არაადეკვატურობიდან გამომდინარე, ყველაფერი შესაძლებელია. თუმცა, ანალიტიკოსი ამბობს, რომ სამართლებრივად სააკაშვილის შეწყალება არაფერს ნიშნავს, რადგან ის საპატიმროს ვერ დატოვებს. მის წინააღმდეგ სხვა საქმეებიც არის აღძრული.

„სალომე ზურაბიშვილი თუკი ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, არ ვიცი, ჯერ რად უნდა უდინდეს მსგავსი საქციელი, როცა საკუთარ სიტყვებს უკან წაიღებს და მეორეც – სააკაშვილი ასეთ შემთხვევა-



„ფიცო გვნახს, ბოლო გვაკვირებს...“

გია აბაშიძე: თუკი ზურაბიშვილს თავის დასვა სურს და სააკაშვილის ავაჯაკური შეწყალება არა აქვს გადაწყვეტილი, მაშინ უნდა გვითხრას საჯაროდ, რომ დავეხმარეთ!..

ში საპატიმროს მხოლოდ რამდენიმე საათი თუ დატოვებს. მას შესაძლოა ადვოკატის ღონისძიების სახით პატიმრობა ისევ სხვა საქმეებზე შეეფარდოს. ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ „არა და არასდროს“, და ამ პრინციპს ამბობს, მაშინ ეს ამ ყველაფერად ხომ უნდა უდინდეს. ზურაბიშვილმა 2018 წლის არჩევნების წინაც კი დალოცა პირობა, რომ ის მიხეილ სააკაშვილს არ შეიწყალებდა. თუ პრეზიდენტი ამ საჯარო პირობას, რომელიც არაერთხელ აქვს დადებული, გადაამტკნებს, ის ჯერ ხომ პოლიტიკურად და პიროვნულად მოსახლეობის დიდ ნაწილში განუღმადგება. ეს კი ვერანაირად დემოკრატიისთვის ხელს ვერ შეუწყობს. ვნახეთ, რომ საზოგადოებამ მას გვარამაის შეწყა-

ლება აპატიო, იმ იმედით, რომ ის სააკაშვილს არ შეიწყალებს“, – ამბობს აბაშიძე. რამდენად გაუძლებს ზეწოლას ზურაბიშვილი? – ამ კითხვის პასუხად აბაშიძე ამბობს, რომ თუკი სახელმწიფოს მეთაურს ვინმე შანტაჟის ენით ესაუბრება, მაშინ ამის შესახებ მან საჯაროდ უნდა განაცხადოს.

„თუ ზურაბიშვილი ძლიერი სახელმწიფო მოღვაწე და მეთაურია, მაშინ გამოვიდეს და საჯაროდ თქვას, ვინ, როგორ, რით ემუქრება, რათა სააკაშვილი შეიწყალოს. იქნებ ვინმე ქვეყნის პრეზიდენტს რაღაცთ ამბნებავს, ეს ხომ ჩვენმა საზოგადოებამ უნდა იცოდეს. ყოველდღიურად ის იმეორებს, რომ სააკაშვილს არ შეიწყალებს, თუმცა, თუ ადგილი აქვს შანტაჟს, მუქარას, სხვა აკრძალულ ილეთებს, ძლიერი პოლიტიკოსი გამოვა და ამას დიდი იტყვის. დამერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში, მთელი საქართველო გამოვა და მას გვერდით დაუდგება. არ მესმის ის მცნება, რომ ის ზეწოლის ქვეშ არის. მერე რა, ნებისმიერი სახელმწიფო მეთაური, პრემიერ-მინისტრი თუ მალაქონისანი, ყოველთვის ზეწოლის ქვეშ არის. როგორც საზოგადოების ასევე არაპოპულარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში. თუმცა შანტაჟის და მუქარის შემთხვევაში, თუკი ზურაბიშვილს თავის დასვა სურს, არა აქვს რეალურად ავაჯაკური შეწყალება გადაწყვეტილი, მაშინ უნდა გვეთხრას საჯაროდ, რომ დავეხმარეთ“, – ამბობს აბაშიძე.

ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე კი ფიქრობს, რომ როგორც წესი, სალომე ზურაბიშვილზე ასეთ ზეწოლას, საგარეო პოლიტიკის ელფერი სჭონდა. საყვარელიძე ამბობს, რომ

ზურაბიშვილმა ყველა შეწყალება სწორედ ამ მოტივით ახსნა. მან საზოგადოებას განუცხადა, რომ გადაწყვეტილებას ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იღებს, ამიტომ ანალიტიკოსი არ გამოიხსნას, რომ სააკაშვილის შეწყალების შემთხვევაშიც, სწორედ იგივე ნარატივი გამოიყენოს.

„ზურაბიშვილი თუ სააკაშვილის შეწყალების გადაწყვეტილებას მიიღებს, მაშინ მან ეს ისევ ქვეყნის ევროპული პერსპექტივის ინტერესებით უნდა გაამართლოს და შეფუთოს. თუმცა, მას ეს გადაწყვეტილება ძალიან უნდა უდინდეს, ან რაიმე განსაკუთრებული უნდა ხდებოდეს, რომ საკუთარ, არა ერთგობის ნათქვამ სიტყვებს გადაახტეს. თუმცა, როგორც ცნობილი ხდება, სააკაშვილის ლობისტები მასთან კომუნიკაციას ცდილობენ და მოგვსენებთ, ისინი უფასოდ არ კონტაქტობენ. ასევე, ცდილობენ იმ ადამიანების მოსყიდვასაც, ვისგანაც რამის გაკეთება უნდათ. თუკი ამ ვერსიას დათანხმდა ზურაბიშვილი და ყველაფერს ხაზი გადაუსვა, პრეზიდენტი ძალიან ჭკვიანი ლაქის მოიგებს. არ ვიცი, ეს რად და რის ფასად უნდა უდინდეს“, – ამბობს საყვარელიძე.

ხოლო თუკი პრეზიდენტი მაინც მიიღებს სააკაშვილის შეწყალების გადაწყვეტილებას, ქვეყნის შიგნით მოვლენები როგორ შეიძლება განვითარდეს? – საყვარელიძე ამბობს, რომ ამან შესაძლოა ქვეყანაში ხელი დაპირისპირებას შეუწყოს, რაც პოლარიზაციის ხარისხს კიდევ უფრო გაზრდის.

„მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილი „ვივამედის“ სუპერკლინიკაში იმყოფება, ყოველდღე, მისი განემთხვევა მის მდგომარეობას ამდომებს და ამბობენ, რომ მომავლადაც, სააკაშვილი პოლიტიკურად აქტიურია. არც ერთ ამბავს და ინფორმაციას უკომენტაროდ არ ტოვებს და ქვეყნის საშინაო საქმეებში იღებს მონაწილეობას. თუ გაათავისუფლებს, სააკაშვილი მისი უდანაშაულობის შედალირებას კიდევ უფრო გააძლიერებს. ეს კი პოლიტიკურ სივრცეზე გავლენას მოახდენს. ალბათ, მოწოდებებიც სააკაშვილის მხრიდან კიდევ უფრო რადიკალური იქნება. დემოკრატიისთვის, რამაც დასავლეთი საუბრობს, აღარ გამოვა. დასავლეთის მხრიდან „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს“, რადგან სწორედ სააკაშვილის თავისუფლება ქვეყანაში პოლარიზაციის კიდევ უფრო გამწვავების მიზეზი გახდება“, – ამბობს საყვარელიძე.

რაც შეეხება უკრაინის ამ პროცესებში ჩართულობას და მათი მხრიდან ბოლო დროს განვითარებულ მოქმედებებს, საყვარელიძე ფიქრობს, რომ უკრაინულ ჯგუფს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებს, მიზანი მხოლოდ სააკაშვილის გათავისუფლება არ აქვს. ანალიტიკოსი ფიქრობს, რომ მათი ძირითადი მოტივი „ნაციონალურების“ კვლავ ხელი-სუფლებში მოყვანაა. ამას კი თავისი მიზეზები აქვს.

„საკაშვილის თავისუფლება საქართველოში წინააღმდეგობის სცენარის მომზადების ნაბიჯია შესაძლოა გახდეს, რომელიც ქვეყანას შიდა დაპირისპირებამდე მიიყვანს“, – ამბობს საყვარელიძე.

ლიკა პერიკაშვილი

საიტკან მიგვაპაროლებს დროის ახალი ქარიშხალი!?

საკვირველად ცვალებად სოციალურ და პოლიტიკურ განემოში ცხვოვრობით. საკვირველებათა ვასკადია არა მარტო ჩვენთან, საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში და ამ მხრივ, უნდა ჩავთვალოთ, რომ მიღწეულია გლობალიზაცია. ერთი ქვეყნის წარსული მოვლენა მეორე ქვეყანასთან არის გადაჭაჭული... და რას ვიზამთ, პლანეტა მრგვალია, ერთ წერტილში აღმოცენებული ჭირი თუ სიკვითე აუცილებლად გადაცოცდება ან მარცხნივ, ან მარჯვნივ და მოუდებამთელ მსოფლიოს... ვერავინ, ვერც ერთი ქვეყანა, ვერ შესძლებს თავი აარიდოს იმ უმედურებას თუ ნებისმიერ მოვლენას, რომელიც მის მეზობელ, მოსაზღვრე ქვეყანაში ხდება, რაღაც სახით მაინც

შეეხება მას! ასე მოედო უკრაინა-რუსეთის ომის უმედურება მსოფლიოს და შემოვიდა ჩვენთანაც, საქართველოში, გავიძვირდა ცხოვრება და საკუთარი დევნილების პრობლემის მოსაგვარებელ ქვეყანას, უკრაინელ ლტოლვილთა სახით მოგვემატა საზრუნავი. არავის არაფერს არ ვამაღლით, ქართველმა ხალხმა იცის ჭირში მყოფთა გვერდში დგომა, სიტბო, მოფერება, ლუკმაპურის განაწილება (რა თქმა უნდა, ახლა არ ჩამოვთვლი იმას, თუ ვისთვის, კერძოდ უკრაინელებისთვის რა და რამდენი რამ გავკვივთებია!) ომში არ ჩავერიეთ, ვერც ჩავერედით ვასაგვები მიზეზების გამო, მაგრამ ნუთუ ეგონა ვინმეს, რომ სხვა სახელმწიფოების ომში ჩართვა იქნებოდა გამოსავალი? არა, მაშინ ეს ომი მსოფლიოს და-

მანგრეველ ომად იქცეოდა და... ამდენად, არ მესმის და ვერც ვგებულობ, რატომ დაიწყეს ამერიკისა და ევროპის სახელმწიფოებმა უკრაინის იარაღითა თუ ნებისმიერი საზრძოლო მეურნეობით, ტექნიკით და სურსათ-სანოვავით მომხარავება. არა მხოლოდ მომხარავება, წაქეზებ-წახალისებაც – ამა, დასცხეთ უკრაინელებო, შეუტეთ რუსეთს, დაამარცხეთ იგი, ჩვენ კი არ დაგვიფიქვებთ, ევროკავშირში მიგიღებთ! ეს ევროპა „ამოუდგა გვერდში“ უკრაინას, ახლა ამერიკას არ იკითხავთ? – ნატოში მიგიღებთ, იმ დღესვე, როცა რუსეთს დაამარცხებთ და ჩვენმა პრემიერმა, ბატონმა ირაკლიმ ღარიბაშვილმა, გაკვირვებულმა, ლოგიკურად გამოეხმაურა ამ უცნაურ შეთავაზებას ისედაც წელით გაწყვეტილი უკრაინელებისადმი – თუ უკრაინა რუსეთს დაამარცხებს, მაშინ „ნატო“ რად უნდაო.

და, ძვირფასო მკითხველო, განა რაიმეა ამ კითხვაში ურიგო? დი-ახ, ჩვენი ხალხი, ნებისმიერი მოაზროვნე, ჯუჯათამყოფელი, მათ შორის მეც, ამასვე არ ვიტყვი? – უკრაინამ თუ რუსეთი დაამარცხა, ნატოში შეიკვდი, ხალხნო, დავივიწყეთ ყოველგვარი წყენა და გადავხვიეთ ზელენსკის, პოდოლიაკს, უკრაინელ სამხედროებს და თითოეულ უკრაინელს, რომელიც ამ გაშმაგებულ ომს გადაურჩა! ასე არ არის? ცუდს ვამბობ რამეს?

თუ ნატო, უკრაინის იმ სამ პირობას შორის, პირველ პირობად რუსეთის დამარცხება მოსთხოვა, მაშინ ჩვენ, საქართველო სადა ვართ? ვინ უნდა დავამარცხოთ, ან რა უნდა ვქნათ? დამთავრებულა ჩვენი ნატოში შესვლის იმედი თუ როგორ არის? არ ვიცი, ეს რა თამაშია. რამდენი მდიდარი და განვითარებული სახელმწიფოა მსოფლიოში, რომლებიც საკუთარი ნებითა და დამოუკიდებლობით თავს იწონებს (რომლებსაც ჩვენსთანა პატარა და სუსტი სახელმწიფოები პესტრფიან), მაინც ერთმანეთზე არიან დამოკიდებული და დღეს თუ ერთი ძლიერებითა და სხვათა ზედა ბატონობით ყელყელაობენ, ხვალ ვინ იცის ვისზე დამოკიდებულნი გახდებიან. სახელმწიფოებში, რომლებმაც ოდესღაც დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს სახელი და ფორმა დაიმკვიდრეს, ახლაც ამ პოლიტიკურ სახელწოდებათა საფარქვეშ აგრძელებენ მოღვაწეობას, „ზრუნავენ“ ჩვენსთანა ქვეყნების მომავალზე, ვინ სად შევიდეს და როგორ, რა პირობებით. პლანეტა კი ჯერჯერობით, მშვიდად ტრიალებს. შეუმჩვენვლად, თითქოს თავისთავად, თითქოს უნებლიეთ იცვლება დრო და იქნება



თამარ ჩიკურდანიძე:

კელი დეგნანმა გაანადგურა ამერიკის იმიჯი საქართველოში

კელი დეგნანი უფრო „ხალხის ძალის“ განცხადებებს ვითხოვლავ, ვიდრე საკუთარი სამინისტროს დოკუმენტებს, მაშინ ჩვენ ვიხსენებთ სიმართლას, – ამის შესახებ, „ხალხის ძალის“ წევრი თამარ ჩიკურდანიძე წერს. მისი თქმით, თუ დღეს საზოგადოებას ცუდი დამოკიდებულება აქვს აშშ-ის მიმართ, ეს თავად კელი დეგნანის დამსახურებაა, რომელმაც გაანადგურა ამერიკის იმიჯი საქართველოში.

„ამერიკის ელჩმა განაცხადა, რომ არ წაუკითხავს საკუთარი ქვეყნის იუსტიციის სამინისტროს გვერდზე გამოქვეყნებული მასალები სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის შესახებ. არც ის იყის თურმე, რა ჩამონათვალი ამ სიაში და რაც მთავარია, ისიც კი არ იყის, რომ ამ



ლობისტის ერთ-ერთი მთავარი საკითხია საქართველოში ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით ამ პუნქტების განხორციელება. აღარ ვსაუბრობთ ვეროპარლამენტისთვის ამერიკიდან გამოგზავნილ რეზოლუციებზე და განცხადებების ტექსტებზე.

საკაშვილის ლობისტი ხომ დანაშაულია ქართველი ხალხის წინაშე, მაგრამ კიდევ უფრო დიდი დანაშაულია მონაწილეობა მიიღო იმ ლობისტში, რომელიც საქართველოს დასაწყვირებას ითხოვს. ეს კარგად ვხედავთ სიმართლას.

გად აქვს გააზრებული ამერიკის ელჩს და სწორედ ამიტომ ამბობს, რომ არ წაუკითხავს საკუთარი ქვეყნის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რაშიც თავდაცვ იღებს მონაწილეობას.

რადგან კელი დეგნანი უფრო „ხალხის ძალის“ განცხადებებს ვითხოვლავ, ვიდრე საკუთარი სამინისტროს დოკუმენტებს, მაშინ ჩვენ ვეტიყეთ სიმართლას.

სიმართლე კი ის არის, რომ მას ყველაფერი კარგად აქვს წაკითხულიც, გააზრებულიც და შესრულებულიც. ისიც კარგად იცის, რომ ჩვენს მიერ წარდგენილი კანონი სწორედ ამერიკული FARA-ს ანალოგი იყო, მაგრამ რადგან ერთხელ შეძლო მანტაჟით და მოტყუებით ჩვენი საზოგადოების ნაწილის თვალის ახვევა შვინთა, რომ ეს ყოველთვის შესაძლებელია. სწორედ ის მოტყუებული და დამანტაჟებული საზოგადოება დღეს სულ სხვაგვარად საუბრობს ამ კანონზე და ხვდებიან, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ყოფილა ჩვენთვის უცხოური დოკუმენტების გამჭვირვალობა და სიმართლის ცოდნა.

სამწუხაროა ის ფაქტი, რომ კელი დეგნანმა გაანადგურა ამერიკის იმიჯი საქართველოში. თუ ვინმე ახდენს დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციას, სწორედ ამ დასავლური პოლიტიკის დღევანდელი მსახურნი, რომელთა ქმედებაც მხოლოდ მოკლევადიან პოლიტიკურ სტრატეგიაზეა გათვლილი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში დღეს დინამიკური აწყობილი კომუნიკაცია სალი და სიმართლეზე დაფუძნებული პარტნიორობით შეიცვლება, რაშიც ლობის წილი სწორედ ელჩებს აქვთ“.

სულ სხვა განმეობა! თუმცა, ჯერჯერობით, არავინ აღიარებს ასეთ სიახლეს... ცვლილების მიზეზები, რაც არ უნდა ვეძებოთ, უფრო სწორად, ეძებონ პოლიტოლოგებმა. სხვადასხვა დარგის უდიდესმა მეცნიერებმა და ასე შემდეგ, ამოცანა მინც ამოხსნელია. საიდან მოდის ის დიდი ტალღა, კაცობრიობის ევოლუციური, ფსიქოლოგიური წყობიდან მომდინარეობს თუ სხვა რამ ძალეებისგან?, იქნებ მართლაც, არაღვეალურად მოქმედებს ვეგეტოტალა კაპიტალის მფლობელთა გაერთიანება, ახლა რომ, ეგრეთ წოდებულ ომის გლობალურ პარტიას ეძახიან? ფაქტია, რომ მოგვწონს თუ არ მოგვწონს, თანდათან შეზღუდული და საფუძველს იმყარებს ახალი ეპოქა!

განსაცდელსა და გაუგებრობაში მყოფნი კი ისევ გაუგებრობაში რჩებიან და კვლავ ცდილობენ ძველმოდურ კავშირებს და გაერთიანებებს შეაფარონ თავი.

ასეთ გაუგებრობაში მყოფი ჩვენი პატარა საქართველო, ვინ იცის, როგორ დააღწევს თავს შექმნილ სიძნელეებს. რა გზას იწევა, საითკენ წავა თუ წაიყვანს დროის ახალი ქარიშხალი. ვფიქრობ, უნდა ვენდოთ ჩვენს მთავრობას – ფრთხილად ვიყოთ! არ ვიქცაროთ, დავუკვირდეთ მოვლენებს მანამ, სანამ ჩვენს კუთვნილ გზას არ აღმოვაჩენთ...

მთომინებთა და შრომით, სიყვარულთა და ერთობით, მეგობრული სიკეთისთვის მიგვიღწევი, ახლაც მივალწევთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ღვთისნიერი თვისებები ბევრ ჩვენგანს შემოღვევია და დღევანდელ ჩვენს მთავრობას დიდი ჯაფა უწევს, საკუთარი ხალხის უმეტესი ნაწილის დასარწმუნებლად, რომ დღეს მშვიდობა მთავარია!

ბუღალრა სტურუა



...მს რომ პატივანი და რომის სამფლობლო იქოს, არაგის გაუგებრობა მუშა უიოს მონაგლის აგაგო

ნეოტროსკისტები ჩვენი ეკლესიის დაუძინებელი გზები არიან!

მეუფე შიოს მტერი არ ჰყოლია, ის რაფინირებული, წესიერი ადამიანია და, მეუფე იაკობს თუ დავესხებთ, მისი მსგავსი მკვეთრი რიტორიკით არასდროს ვამოსულა. ამის მიუხედავად, მეუფე შიოს სისხლში მაინც აღმოჩნდა დანიშნულების კვალი, საპატრიარქოს თანამშრომლის რუსუდან მისურაძის დაღუპვამ კი, რომელიც მეუფე შიოს თაბახს ალაგვდა, ეჭვები კიდევ უფრო გაამძაფრა.

მეუფე შიოს სისხლის ანალიზის პასუხს გვრეზიდან ელოდებიან. საქმეში ჩართულია სუს-იც და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი ანზორ ჩუბინიძეც.

შორენა თეთრუაშვილის ხსენება შიო მუჯირის მოწამვლასთან დაკავშირებით დეკანოზ ანდრია ჯაღმაიძეს არ მოსწონს და ინტერესდება, ყურნალისტი „შორენას მტერს არავის იცნობენ საპატრიარქოში?“ დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე ხელოვნურ ჩარევას არ გამოიხიხვას, თუმცა არც ყოფით შემთხვევას უკულებულყოფს მოწამვლასთან დაკავშირებით.


რაც შეეხება ზოდებელ მთავარეპისკოპოს იაკობს, ის თვლის, რომ შორენა თეთრუაშვილს თავისი ადგილი აქვს, მეუფე შიოს თავისი და ისინი ერთმანეთის საქმეებში არ იკვეთებიან. მეუფე იაკობი მეუფე შიოს არც მოწამვლას გამოიხიხვას და არც იმას, რომ რომელიმე ჩინურ პროდუქციას ემოქმედა პატრიარქის თანამოსაყდრის ჯანმრთელობაზე.

აღსანიშნავია, რომ ციანილის საქმიდან დაახლოებით სამ თვეში მიიღეს გადაწყვეტილება, მეუფე შიო გამხდარიყო პატრიარქის თანამოსაყდრე. გარკვეული ძალეში იმთავითვე ამტკიცებდნენ, რომ მეუფე შიოს ასპარეზზე გამოსვლისთანავე ეკლესიის შიგნით რუსული ფრთა გააქტიურდა და ამას მეუფე შიოს რუსულ მეჭრაუნდს უკავშირებდნენ, რომ მან მოსკოვის სასულიერო აკადემია დაამთავრა.

ეს რომ ვატიკანი და რომის სამფლობლო იყოს, ანალიტიკოს ვახტანგ მაისიას არ გაუკვირდებოდა მეუფე შიოს მოწამვლის ამბავი. ანალიტიკოსს ახსენდება 1982 წლის პოლიტიკური სკანდალი, როცა ვატიკანსა და იტალიურ მაფიას შორის ერთგვარი კავშირი იკვეთებოდა. მანამდე კი ირანე პავლე მფორეს ესროლეს. ვახტანგ მაისიას მოსაზრებით, საქართველო და მართლმადიდებლური ეკლესია იმითაა განსხვავებული ყველა კონფესიისგან, რომ პოლიტიკური ტიპის მკვლევარებში, თავდასხმებში არ ხდება, ერთი იყო 1918 წელს პატრიარქ კირილის მკვლელობა, რომელიც არ გამოიძის.

ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ზოგიერთები მეუფე შიოს ე.წ. რუსულ მეჭრაუნდზე ისე ლაპარაკობენ, ისიც კი არ იციან, რომ ზოლ-შევივებმა და კომუნისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართული საეკლესიო თეოლოგიური და აკადემიური სწავლება არ განვითარებულიყო. იმ პერიოდში სხვა არაფერი არსებობდა, ერთადერთი იყო ზაგორსკის სასულიერო აკადემია, ილია მეორის ძალისხმევით კი, 70-იან წლებში მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია.

სულ მეჭრაუნდზე ისე ლაპარაკობენ, ისიც კი არ იციან, რომ ზოლ-შევივებმა და კომუნისტებმა ყველაფერი გააკეთეს, რომ ქართული საეკლესიო თეოლოგიური და აკადემიური სწავლება არ განვითარებულიყო. იმ პერიოდში სხვა არაფერი არსებობდა, ერთადერთი იყო ზაგორსკის სასულიერო აკადემია, ილია მეორის ძალისხმევით კი, 70-იან წლებში მცხეთაში გაიხსნა სასულიერო სემინარია.



„ასე რომ ვფიქრობ, ვინ სად დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი, მაშინ თხოვეთ იყოს ლიდერმა ხოშტარიამ მგიშო დაამთავრა და დღეს იგი თავგადაკული „ანტირუსისტია“. რაც შეეხება საპატრიარქოში პროდასავლურ და პრორუსულ ძალებს შორის დაპირისპირებას, ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ნაკლებად იდეოლოგიზირებული და ნაკლებ პოლიტიკიზებულია. საბჭოთა პერიოდში იყო სპეციალური სამმართველო, რომელიც რელიგიურ ორგანიზაციებში აგენტურის ჩანერგვაზე მუშაობდა, მაგრამ მაშინაც კი ქართული საპატრიარქო ღირსების სიმბოლო იდგა და არც ერთი ასეთი ფაქტორი აგენტურა არ არის გამოვლენილი, სხვა საპატრიარქოებისგან განსხვავებით. სხვათა შორის, სომხური საპატრიარქოც სომხეთის სახელმწიფოებრიობის მთლიანობის ავანგარდში იდგა“, – აღნიშნა ვახტანგ მაისიამ.

მანვე არ გამოიყვანა არაპოლიტიკური ტიპის ინტრიგები საპატრიარქოში, მაგრამ პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის ელემენტები დამატებულად არ მიიჩნია. ანალიტიკოსის განმარტებით, ილია მეორის, ჩვენი სულიერი მამის ავტორიტეტს, რენომეს და სილიადეს ვერავინ შეცვლის, ეს განსაკუთრებული ფენომენია, ამიტომ საეჭვოა, ვინმე შეეცდოს ჩვენს პატრიარქს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება საპატრიარქოში დამლაგებლის ვარდაცვალების ფაქტს, ვახტანგ მაისიას აზრით, ადამიანები უამრავი დაავადებით იღუპებიან და საეჭვო დეტალები გამოძიების დასადგენია. უზრალოდ, ფაქტი ერთია, როგორც აღწერა კლასიკური ტროცკისტები, ისე ახლაც ნეოტროცკისტული დაჯგუფებები ეკლესიის დაუძინებელი გზები არიან და საქართველოს დალატს ეწევიან.

„მართვის სტრატეგიული ინსტრუმენტი“ ხელმძღვანელის შუშნა მამრადის აზრით, ჯერჯერობით შეუძლებელია ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე გარკვეული დასკვნის გამოტანა, მაგრამ პეტრე მამრადე აღასტურებს, რომ პირადად იცნობს მეუფე შიოს, დიდი ხნის წინ გაიცნო იგი და მიიჩნია, რომ ეს არის უაღრესად სუფთა ადამიანი, ნამდვილი მორწმუნე, მაღალი კულტურის, მრწამსი, შესანიშნავი ოჯახის – ქურდიანების შთამომავალი, ამასთან, მეუფე შიო უაღრესად ერთგულია მისი უწმინდესობის მიმართ და ნამდვილი თანამოსაყდრეა.

იტომ საეჭვოა, ვინმე შეეცდოს ჩვენს პატრიარქს ამ მიმართულებით.

რაც შეეხება საპატრიარქოში დამლაგებლის ვარდაცვალების ფაქტს, ვახტანგ მაისიას აზრით, ადამიანები უამრავი დაავადებით იღუპებიან და საეჭვო დეტალები გამოძიების დასადგენია. უზრალოდ, ფაქტი ერთია, როგორც აღწერა კლასიკური ტროცკისტები, ისე ახლაც ნეოტროცკისტული დაჯგუფებები ეკლესიის დაუძინებელი გზები არიან და საქართველოს დალატს ეწევიან.


„მართვის სტრატეგიული ინსტრუმენტი“ ხელმძღვანელის შუშნა მამრადის აზრით, ჯერჯერობით შეუძლებელია ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე გარკვეული დასკვნის გამოტანა, მაგრამ პეტრე მამრადე აღასტურებს, რომ პირადად იცნობს მეუფე შიოს, დიდი ხნის წინ გაიცნო იგი და მიიჩნია, რომ ეს არის უაღრესად სუფთა ადამიანი, ნამდვილი მორწმუნე, მაღალი კულტურის, მრწამსი, შესანიშნავი ოჯახის – ქურდიანების შთამომავალი, ამასთან, მეუფე შიო უაღრესად ერთგულია მისი უწმინდესობის მიმართ და ნამდვილი თანამოსაყდრეა.

ამდენად, თუკი მართლაც განზრახ მოქმედება იყო მისი მოწამვლის მცდელობა, ეს იმას იმხნავს, რომ ვინც ჩვენი უწმინდესის მოწამვლას ცდილობდა, შესაძლოა, იმავე წრეებიდან მოდიოდეს ეს ფაქტი.

„მე არ ვამბობ, რომ იგივე ადამიანები ჩაიდინდნენ ამ დანაშაულს, უზრალოდ, მეუფე შიო გვერდში უდგას უწმინდესს და უნეტარესს, ის პიროვნებაა, რომელიც არაფერს შეუშინდება, თუ საჭიროა, სიცოცხლესაც გაწირავს ამ საქმისთვის. მის რუსულ მეჭრაუნდზე რომ საუბრობენ, ავიწყდება, რომ ჩვენი უწმინდესიც ზაგორსკში სწავლობდა, ეს იყო მართლმადიდებლობის არა რუსული, არამედ მსოფლიო ცენტრი თავის დროზე. ამდენად, პრორუსული და პროდასავლური ფრთის არსებობა ჩვენს ეკლესიაში აბსოლუტურად არაღამაჯერებელია. უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ეკლესიის მთელი დღევანდელი იმყოფებოდა შეერთებულ შტატებში, ნატოში. 71 წლის ვხდები და მახსოვს, ინტელიგენცია როგორ დადიოდა უწმინდესის ქალაქების მოსასმენად, ისეთი მუხტი მოდიოდა მისგან. ამ ინტელიგენციაში კი იყვნენ მორწმუნეებიც და ათეისტებიც“, – აცხადებს პეტრე მამრადე.

„ბალდის კანიონი“ ინვესტორის ხელში გადავიდა

უიქლუბა კანიონიარია, მაგრამ უსამართლო!



სამეგრელოში, სოფელ ბალდაში, უნიკალური კანიონის განკარგვის უფლებას სახელმწიფო კერძო კომპანიას აძლევს და ახას ეკონომიკის ახრთავითა და „დაცლის პირას მისული სოფლების“ ასე გადარჩენით ასაგუთავს. ადგილობრივი ახალგაზრდობას ეს გადაწყვეტილება არასწორად მიაჩნია და ცდილობს მის განხორციელებას ხელი შეუშალოს.

„შეიძლება კანიონიარია, მაგრამ რამდენად სამართლიანია, კერძო კომპანია იყოს მდინარის, ასე ვთქვათ, მმართველი?“ – ამბობს მათე მაცაშვილი და განაგრძობს: – „მე შინაგანად ასე ვგრძნობ, რომ არ არის სამართლიანი. კერძო კომპანიის საკუთრებაში არ უნდა იყოს სოფლის კანიონი“. მათეს მთელი ბავშვობა სამეგრელოში, ბალდაში, დედის სოფელში აქვს გატარებული და თავს იქაურად თვლის. ერთ-ერთი პირველი, რასაც სოფელში ჩასვლისას აკეთებდა, მეგობრებთან ერთად მდინარეზე მიდიოდა. წელი მას კანიონთან მისასვლელი შემოღობილი დახვდა. მაშინ გაიკო, რომ სახელმწიფოს ეს ადგილი იჭრით გაუცია კერძო კომპანიას, რომელსაც იქ სამი თვის წინ უკვე დაუწყია ტურისტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

ბალდის კანიონი არა მარტო სოფლის, არამედ მარტვილის რაიონის ერთ-ერთი ყველაზე თვალწარმატებად აღიქვამება. თითქმის კილომეტრნახევრის ხეობა მდინარე აბაშის ხეობას მიუყვება. მუნიციპალიტეტის, ხელუხლებელი, უნიკალური გეოგრაფიული რელიეფითა და იშვიათი ეკოსისტემით მარტვილის ცენტრიდან სულ რაღაც 11 კილომეტრშია.

„ტურისტები რომ მოდიან სანახავედ, კისერს იტეხავენ, რომ შიგნით ჩავიდნენ. ხიდიდან იყურებან, ზევიდან, და მერს ვერაფერს ვერ ხედავენ. ჩვენ მანდ ვაწყობთ 400-მეტრიან ბილიკს. ამ 400 მეტრიდან სადაც 120 თუ 130 მეტრი, კიდული ბილიკია. ეწყობა ზილაინი... როგორც, რომელიც რელიეფს მიუყვება“, – ამბობს გიორგი მერველიძე. ის კომპანია „კანიონ 350“-ის დირექტორია.

ეს კომპანია, რომელიც 2022 წელს დაარსდა და რომელიც საქართველოში მოწყობილი მიპლაინების თითქმის 90%-ს მართავს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს აუქციონის გამარჯვებულია. სწორედ მან მოიპოვა ბალდის კანიონის ტერიტორიის, 24 ათასი ჰექტარული მეტრის, განკარგვის უფლება 20 წლით. „კანიონ 350“-მა 3 მილიონამდე ლარის ინვესტიციით, 2 წელიწადში ბალდის კანიონი ტერიტორიის მიმდებარე ადგილად უნდა აქციოს.

„ველური მუხების გასხვიება არის მიუღებელი... 35-წლიანი იჭრით გაცემა, გასხვიება, აბა, რაა?!... ჩვენ მაქსიმალურად შევცდებით, ჩვენი სახლი დავიშრუნოთ“, – ამბობს შარო თვარაძე. მართალია, ახლა ის თბილისის ერთ-ერთ სკოლაში ასწავლის, მაგრამ წარმომავლად ბალდაშია. შარო სოფელში კარდაკარ დადის და მოსახლეობას პროექტის შესახებ ელაპარაკება: „დაახლოებით 300 ოჯახი იქნება სოფელში და კომპანიამ ინფრამაგისტრაციის მიაწვდინა მაქსიმუმ 5-6 თვეში“.

ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც მშენებლობის წინააღმდეგია, იმანაც გააზრდა, რომ სახელმწიფომ, მათთან, ადგილობრივებთან შეთანხმების, მათი მოსაზრებების მოსმენის გარეშე გადაწყვიტა სოფლის დინამიკის შენარჩუნება.

„მე თვითონ ვიყავი ჩართული (მოსახლეობის ინფორმირებაში). არავინ იყო წინააღმდეგი. პირიქით, მაგარი კმაყოფილი იყვნენ და ახლა რა მოხდა, არ ვიცი“, – ამბობს რამაზ ხურცილაძე, მერის წარმომადგენელი სოფელ გაჭვილის ადმინისტრაციულ ერთეულში. „კანიონ 350“-ის დირექტორი გიორგი მერველიძე იმავეს იმეორებს, ამბობს, რომ 15 ბალდელი მშენებლობაზე უკვე დასაქმდა, ისინიც და სხვა ადგილობრივებიც საქმის კურსში იყვნენ ცვლილებების შესახებ.

„კითხვები ჰქონდათ მათ, ვინც აქ ზაფხულში ჩამოდის მება-ზაზუსთან. ესენი ადგილობრივებად არ ითვლებიან“, – ამბობს მათე მაცაშვილი.

ლევის ადმინისტრაციის დირექტორი ზაზა გაგუა იყო:

„ეკოტურნიზმი ერთ-ერთი იარაღია, რომლითაც დაცლის პირას მისული სოფლები გადაარჩება“, – დაწერა მან ფეისბუქზე.

50-მდე ადამიანი, ვისაც კითხვები აქვს ბალდაში მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით, 19 ივლისს კანიონის ტერიტორიაზე შეხვდა მშენებლობის ჩართულ მხარეებს. მათ შორის – მშენებელი კომპანიის და მარტვილისა და ოკაცის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლებს. როგორც „რადიო თავისუფლებას“ შეხვედრაში მონაწილე მათე მაცაშვილმა უთხრა, დიპლომატიური, თუმცა კონსტრუქციული გამოვიდა.

„დაგვათვალისწინებს ტერიტორია. აგვისტოს, რის გაკეთებას აპირებენ... სიტყვიერად გვიპირდებიან, რომ ადგილობრივებისთვის უფასო იქნება მდინარეზე ჩასვლა, მაგრამ ამის რამე კანონისმიერ განარტიკის მოცემა არ შეგვიძლია. მოკლედ, ჯენტლმენურად უნდა შევთანხმდეთ... ისიც ბუნდოვანია, როგორ მოხდება შემოწმება, ვინ არის ადგილობრივი და ვინ არა. სოფელში საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა ადგილობრივი მცხოვრებლებისგან და ისინი მოიფიქრებენ, რა უნდათ. სოფელი მოიფიქრებს, გაიზარდებს და შემდეგ გადადგამენ ნაბიჯებს“, – თქვა მან.

ახლა ბალდის კანიონი უცხოებისთვის შემოღობილია, ტერიტორიაზე მხოლოდ მუშები თუ შედიან. საცალფეხო ბილიკები დასრულებულია, ორი ხიდიდან ერთი უკვე აშენებულია, მალე დაიწყება ზილაინის აგება. კომპანიის ვარაუდით, კანიონი შემდეგი წლის გაზაფხულამდე არ გაიხსნება.

თამარ ზანთარია



მშენებლობა ბალდის კანიონის მიმდებარე

ზღვის კურორტებიდან ხალხმა მთაში გადაინაცვლა

საქართველოში წელს დიდი მოთხოვნით მთის კურორტები სარგებლობს. მას შემდეგ რაც ზღვაზე უსაფრთხო დასვენებასთან დაკავშირებით ტურისტებში ეჭვი გაჩნდა, ხალხმა მთისკენ აიღო გეზი. კახეთის კახლის აფეთქებამ დასვენებლებს არჩევანი შეაცვლია, შესაბამისად, მოთხოვნის ვექტორი ახლა უკვე შეიცვალა. მთის კურორტების მიმართ მოთხოვნის ზრდაზე საუბრობენ ინდუსტრიის მსხვილი წარმომადგენლებიც. მოთხოვნამ მოიმატა როგორც რუსეთის, ასევე ევროპული ქვეყნების მხრიდან, რაც აფეთქებით, რომ წინა წლის მაჩვენებლებს მკვეთრად გაუსწრებენ. ამ მხრივ მაკურორტები ერთ-ერთი გამოჩენილი კურორტია, სადაც დიდი აქტიურობაა.

„ინ ჯგუფის“ ხელმძღვანელი ერეკლე კოკია აღნიშნავს, რომ სასტუმროს დატვირთვაზე მაკურორტში 60%-ია და ეს მაჩვენებელი სეზონის განმავლობაში მოიმატებს.

„სეზონი სულ ახლახან დაიწყო და შედეგით კმაყოფილი ვართ. ზაფხულში, მაკურორტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი კურორტია დასასვენებლად ახალგაზრდა ოჯახებისა და ბავშვებისთვის. ასე იყო ყოველთვის და ტენდენცია არც წელს შეცვლილა. მაღალი დატვირთვით გამოირჩევა გუდაურცი, სადაც ძირითადად უცხოელები არიან. ქუთაისშიც უმეტესწილად უცხოელებს ველოდებით, უფრო ევროპელებს, ვინაიდან ქუთაისიდან ევროპული ავიარების სრულდება და ამ ფაქტორის გავლენა იგრძნობა. რაც შეეხება ფასებს, წინა წლის შემოდგომაზე ტარიფები დაკონფერირდა და სერვისი 2019 წელთან შედარებით დაახლოებით 20-30%-ით გაძვირდა, ამიტომ ფასს ამაზე მეტად ვერ შევხებით“, – განაცხა-

და ერეკლე კოკიამ. სტუმრების სიჭარბეა სეზონისთვის. მესტიის მუნიციპალიტეტში მდებარე ახალ საოჯახო სასტუმრო „ფალიანში“ წელს მოთხოვნა განსაკუთრებით აქტიურია. სასტუმრო ორიოდე წლის წინ გაიხსნა, მაგრამ უკვე დატვირთულია.

როგორც „ფალიანის“ წარმომადგენელი ამბობს, წლის სხვადასხვა სეზონზე მაღალი მოთხოვნაა, განსაკუთრებით ზაფხულში და ეს წელსაც შენარჩუნებულია. ჯავშნები ამ ეტაპზე აქტიურია, თუმცა 100%-იანი დატვირთვით სასტუმრო 20 ივლისიდან მუშაობს. დინამიკა, სავარაუდოდ, აგვისტოსა და სექტემბერშიც შენარჩუნდება.

„სეზონში წლებიდან ტურისტული სეზონი ძალიან აქტიურია. ვერ გეტყვით, რამდენად უკავშირდება ზღვის



ფაქტორს, თუმცა მოთხოვნა საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით უცხოელი ტურისტების მხრიდან, რაც ჩვენს სასტუმროსაც აისახება. მიმდინარე პერიოდშიც შევკეთებთ საკმაოდ დიდია. აგვისტო-სექტემბერშიც ასევე აქტიურებით გამოირჩევი სეზონია, ამიტომ ფიქრობთ, რომ ტენდენციას შევინარჩუნებთ. სხვადასხვა კომპანიისათვის თანამშრომლობით. როგორც ტურისტული კომპანიები, ასევე ორგანიზაციები ჩვენი მომსახურებით აქტიურად სარგებლობენ. განსხვავებული კონცეფციის სასტუმროა, რომელიც გამოირჩევა ყველაზე კარგი ხედვით და მიმზიდველი ინტერიერით, ეკომეგობრულია და უნიკალური სამზარეულო აქვს. ეს ყველაფერი ტურისტების დატვირთვაზე აისახება“, – ამბობს „ფალიანის“ წარმომადგენელი.

ზოგადად მოთხოვნამ მოიმატა როგორც რუსეთის, ასევე ევროპული ქვეყნების ვიზიტორთა მხრიდან. ამიტომ ქვედაში მდებარე სასტუმრო „ზემოში“ ფიქრობენ, რომ წინა წლის მაჩვენებლებს მკვეთრად გაუსწრებენ.

„უკრაინაში კახლის აფეთქებამ საზღვაო კურორტებზე მდგომარეობა რადიკალურად შეცვალა. ზღვის მოყვარული ადამიანების დიდი ნაწილი ახლა უკვე უპირატესობას მთის ანიჭებს, ეს ტენდენცია ნამდვილად შესამჩნევია. ბუმი არ არის, მაგრამ მოთხოვნა სულ მცირე 30-35%-ით გაზარდილია, რაც ძალიან კარგი მაჩვენებელია. ველოდებით, რომ სეზონის განმავლობაში დატვირთვა კიდევ მოიმატებს“, – განაცხადა სასტუმროს დამფუძნებელმა ზემურ მულქაძემ.

ბაბა დანელია

ბოლო დროს რუსეთის ხელისუფლებისა და მედიის მხრიდან ბახშირსა საუბარო აფხაზეთის ოკუპირებული ტერიტორიის გავლით რუსეთ-საქართველოს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის საკითხზე. საინტერესოა, რატომ გახდა ეს საკითხი კვლავ აქტუალური, ვის მოუტანს სარგებელს და ვის მოუტანს გიანს რუსეთსა და საქართველოს შორის 1993 წლიდან, აფხაზეთის ომის შედეგად შეჩერებული სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა?



აფხაზეთის რკინიგზის აღდგენა დღეს

შეუძლებელი და დაუშვებელია!!!

რუსეთ-საქართველოს შორის ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის მოსალოდნელი პოლიტიკური შედეგები

რუსეთის ხელისუფლების განცხადებები...

28 ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ, ყოველკვირეული ბრიფინგის დროს, რუსეთსა და სომხეთს შორის ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის შესაძლებლობაზე ჟურნალისტის შეკითხვას უპასუხა.

მისი განცხადებით, რუსეთი ყველა ძალისხმევას მიმართავს დაგეგმილი მასშტაბური „საგზაო რუკის“ განსახორციელებლად, რაც მოიცავს სახელმწიფოს მეთაურების დონეზე დოკუმენტების ხელმოწერას და მთავრობების წარმომადგენლების მონაწილეობით შესაბამისი კომისიების შექმნას. ზახაროვამ დასძინა, რომ „ყოველდღიურ რეჟიმში ყველაფერი კეთდება ამ გეგმის განსახორციელებლად“.

საქართველო-საქართველო პაპაბა

ზახაროვას განცხადებამდე დაახლოებით ოთხ-ნახევრით ადრე ოკუპირებული აფხაზეთის სარკინიგზო პოტენციალის შესახებ განცხადება გააკეთა რუსეთის საგარეო-სამხრეთ-სადასავლეთის ურთიერთობების დეპარტამენტის პრეზიდენტი სერგეი კატინინი. 12 მაისს რუსული მედიისთვის მიცემულ ინტერვიუში, ქართულ-რუსულ ურთიერთობებზე საუბრისას, მან თქვა, რომ უნდა დაიგეგმოს სარკინიგზო ტრანზიტი ამ რეგიონის გზის მართვის ფარგლებში, რომელიც მოიცავს ჩინეთს, ირანს (მან-დან-ამასი, ასტანა), აზერბაიჯანს (ასტანა, გაბალა) და საქართველოს (მარნეული), მათ შორის აფხაზეთის, ტერიტორიას. კატინინის აზრით, საქართველოს გავლით სარკინიგზო ტრანზიტის გახსნა ზემო ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტის განტვირთვას და ტვირთების გადაზიდვის ხარჯების შემცირებასაც გამოიწვევდა.

კატინინის განცხადებებიდან მალევე, 17 მაისს, ირანმა და რუსეთმა რაშტ-ასტანას სარკინიგზო ხაზის მშენებლობაში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება მოაწერეს ხელი. რუსეთი გეგმავს ამ პროექტის 1.3 მილიარდი ევროით დაფინანსებას. რუსეთის გეგმის მიხედვით, სარკინიგზო ხაზი საერთაშორისო სტრატეგიულ დერეფნის „ჩრდილოეთი-სამხრეთი“ ნაწილი უნდა გახდეს, რომელმაც რუსეთი კასპის ზღვის აუზის, სპარსეთის ყურსა და სამხრეთ აზიის ქვეყნებთან უნდა დააკავშიროს. პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რუსეთი და ირანი, აზერბაიჯანის გავლით, სარკინიგზო ხაზით დაუკავშირდებიან ერთმანეთს.

საქართველოს ხელისუფლების ოფიციალური პოზიცია

30 ივნისს პარლამენტში გამოსვლისას საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა უარყო, რომ აფხაზეთის გავლით რუსეთის აღდგენის საკითხზე რუსეთთან რაიმე სახის მოლაპარაკება არსებობს და განაცხადა, რომ

რუსეთის აღდგენა მხოლოდ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში გახდებოდა შესაძლებელი.

რუსეთის საკითხის განხილვა უარყო საქართველოს პარლამენტის სპიკერმა შალვა პაპუაშვილმა.

რატომ გახდა რკინიგზის აღდგენის საკითხი კვლავ აქტუალური რუსეთში?

საქართველოს ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის თაობაზე რუსეთის განცხადებების კონტექსტი აშკარად განსხვავებულია. თუ ადრე ეს საკითხი უფრო მეტად სომხეთის ეკონომიკურ ინტეგრაციას უკავშირდებოდა, ამჟამად მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ, რომ რუსეთი, დასავლეთის მიერ მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების პირობებში, თავად ცდილობს იმპორტ-ექსპორტის ალტერნატიული მარშრუტების განვითარებას. 2022 წლის თებერვლიდან რუსეთისთვის აფხაზეთის ტერიტორია და იქ არსებული ინფრასტრუქტურა სხვაგვარად მიმზიდველი გახდა, საერთაშორისო სანქციების გვერდის ავლის შესაძლებლობის კონტექსტში. რუსეთს არა მხოლოდ აფხაზეთში არსებული რკინიგზის მიმართ გაზარდა ინტერესი, არამედ სოხუმის აეროპორტის რეაბილიტაციასაც გეგმავს.

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე წლებია მიმდინარეობს რკინიგზის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია რუსეთის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით, მაგრამ ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა და რკინიგზის გამტარუნარიანობა შეზღუდულია. გარდა ამისა, რუსეთის გეგმების განსახორციელებლად, საქართველომ რომც განაცხადოს თანხმობა, სრული რეაბილიტაცია სჭირდება ოკუპირებული ტერიტორიისა და საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიის დამაკავშირებელ სარკინიგზო ხაზს.

აშკარაა, რომ ამ ბოლო დროს რუსეთის მხარდაჭერით აფხაზეთში რკინიგზის რეაბილიტაცია მხოლოდ სამგზავრო გადაზიდვების გაზრდისა და ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით არ არის განხორციელებული. ბოლო წლებში ოკუპირებულ აფხაზეთში გაზრდილია რკინიგზით ტვირთების გადაზიდვის მასშტაბები, სადაც ერთმნიშვნელოვნად იკვეთება რუსეთის ინტერესი. მაგალითად, 2023 წლის 23 მარტს აფხაზეთში პირველად დაფიქსირდა საკონტეინერო მატარებლის (სულ 62 კონტეინერი, რომლებიც 2700 ტონა ტვირთი გადაიზიდდა) გადაადგილების შემთხვევა. არსებული ინფორმაციით, ტვირთი ოჩამჩირის პორტში გემში ჩაიტვირთა და თურქეთის მიმართულებით წავიდა. თავად ეს ფაქტი აჩვენებს, რომ რუსეთი ცდილობს სანქციების გვერდის ავლისთვის ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს.

ვინ მიიღებს სარგებელს?

რუსეთში: უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომის ფონზე დასავლეთთან დაპირისპირებისა და სანქციების პირობებში რუსეთისთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერი ახალი სარკინიგზო დერეფანი,

რომელიც მას დასავლური სანქციებისგან მიღებული ზიანის შეწყვიტვის შესაძლებლობას მისცემს.

მიუხედავად იმისა, რომ ოკუპირებული აფხაზეთის სარკინიგზო რესურსი (გზები, რკინიგზა, პორტები, აეროპორტი) მნიშვნელოვნად შეზღუდულია, ვითარება იმდენად კრიტიკულია, რომ მოსკოვისთვის ყველა ვარიანტი მისაღებია. აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენით რუსეთი, ეკონომიკურის გარდა, პოლიტიკურ სარგებელსაც მიიღებს, რაც საქართველოზე ეკონომიკური და შესაბამისად პოლიტიკური გავლენის ზრდაში გამოიხატება.

სომხეთი: სომხეთი, რომლის ეკონომიკური და სარკინიგზო კავშირები მეზობლებთან (აზერბაიჯანი, თურქეთი) ჯერ კიდევ შეზღუდულია, წლებია ლობივებს აფხაზეთის ტერიტორიაზე სარკინიგზო მიმოსვლის განახლებას. რკინიგზის ამოქმედების შემთხვევაში ერევანი ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტისა და საქართველოს საზღვრო პორტების გარდა რუსეთთან დამაკავშირებელ დამატებით მარშრუტს განავითარებს, რაც მას მის წინაშე არსებული ლოჯისტიკური გამოწვევების დაძლევაში დაეხმარება.

ოკუპირებული აფხაზეთი: ოკუპირებული აფხაზეთისთვის სარკინიგზო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და სარკინიგზო მიმოსვლის განახლება მნიშვნელოვანი იქნება როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. ეკონომიკური უუხიბო, აფხაზეთში აღდგება ინფრასტრუქტურა, გაჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები, სარკინიგზო დერეფნის ამოქმედების შედეგად გაიზარდება დე ფაქტო ხელისუფლების შემოსავლები. პოლიტიკური უუხიბო კი, ოკუპირებული რეგიონი საერთაშორისო პროექტის მონაწილე გახდება, რაც მის „დამოუკიდებელ“ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სუბიექტად წარმოჩენას შეუწყობს ხელს.

ვინ მიიღებს ზიანს?

საქართველო: აფხაზეთის დეოკუპაციისა და მასზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის დაბრუნების გარეშე რუსეთსა და საქართველოს შორის ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლეგიტიმაციისა და აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ ირიბად აღიარების ტოლფასია, რადგან ასეთ შემთხვევაში საქართველო დათანხმდება იმ ტვირთების მიღებასა და გატარებას, რომლებიც რუსეთ-საქართველოს საზღვრის აფხაზეთის მონაკვეთს არალეგალურად, საქართველოს შესაბამისი სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან სასაზღვრო და საზღვარგარეთის კონტროლის გარეშე გადაკვეთის, ხოლო თუ ამ ტვირთების სასაზღვრო და საზღვარგარეთის კონტროლი ოკუპაციის ხაზთან მოხდება, ეს ოკუპაციის ხაზის სახელმწიფო საზღვრად გაფორმების საფრთხეს წარმოშობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონში „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ პირდაპირ წერია, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე აკრძალულია სარკინიგზო მიმოსვლა და საერთაშორისო საგზაო სარკინიგზო გადაზიდვა, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველოს მიერ რუსეთის შემოთავაზებებზე დათანხმება, ავტომატურად ამ კანონში ცვლილებების შეტანასა და მის დასუსტებას გულისხმობს.

გარდა ამისა, რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ წარმოებული ომის პირობებში, საქართველოს მხრიდან მსგავს რუსულ ეკონომიკურ პროექტში ჩართვა რუსეთისთვის სანქციების გვერდის ავლაში დახმარებას ნიშნავს, რაც, დასავლეთისგან დამორჩილების ხარჯზე, საქართველოში რუსეთის პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენის ზრდას გამოიწვევს.

დასაშლელი: აშშ, ევროკავშირი და მათი მოკავშირე ქვეყნები, რომლებსაც რუსეთის წინააღმდეგ სანქციები აქვთ დაწესებული, მსგავს პროექტებს რუსეთის მიერ სანქციებისთვის გვერდის ავლის კონტექსტში განიხილავენ. ამავე დროს, რუსეთ-საქართველოს შორის ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა რეგიონში რუსეთის ეკონომიკურ გამდიდრებასა და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ პროცესებზე დასავლეთის გავლენის შესუსტებასაც გამოიწვევს.

დასკვნა

ამრიგად, რუსეთ-საქართველოს შორის ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის ინიციატივა მონომხარვეზი რუსული გეგმის შემადგენელი ნაწილია, რომელიც კრემლის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ინტერესებს ემსახურება: ერთი მხრივ, დასავლური სანქციებისთვის თავის არიდებასა და ეკონომიკური ზიანის შემსუბუქებას, ხოლო, მეორე მხრივ, ოკუპირებული აფხაზეთის საერთაშორისო ლეგიტიმაციისა და საქართველოზე გავლენის გაზრდას.

თუ საქართველოს ხელისუფლება დათანხმდება რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასთან დაკავშირებით და „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონში შესაბამისი ჩანაწერსაც გააუქმებს, საქართველოს ეროვნულ ინტერესებს გამოუსწორებელი ზიანი მიაღებება, რადგან ამით საქართველო მოახდენს რუსეთის მიერ მისი ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების საერთაშორისო ლეგიტიმაციას, ხელს შეუწყობს საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროში დაბრუნებას, მნიშვნელოვნად დააზიანებს ურთიერთობებს დასავლეთთან და საფრთხეს შეუქმნის ქვეყნის ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. ვერანაირი ეკონომიკური სარგებელი ამ პოლიტიკურ ზიანს ვერ დააკომპენსირებს. აქედან გამომდინარე, დღევანდელ ვითარებაში რუსეთ-საქართველოს შორის ოკუპირებული აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა დაუშვებელია.

საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ცენტრი

სწორი ენათმეცნიერი მორბი მოგოლაშვილი და-
იბადა 1948 წლის 24 ივლისს სოფელ კურსებში.

კურსები შუა იმერეთშია, ოკრიბასთან, ქუთაისიდან ათი-
ოდე კილომეტრში.

მანქანა სწრაფად გაიზარდა ქუთაისს, მოწამეთას, გე-
ლათას და კურსების სანახევრს გამოჩნდება. ის რომ გაჩნდა,
მაშინ ეს სამი სოფელი ერთ სასოფლო საბჭოს შეადგენდა.
წყალწითელია – რა ლამაზი სახელია! ოღონდ არა მარ-
ტო სახელი – იგი წელიწადის ყოველ დროს ტურფა და
ლაშაზია. კურსები კი სწორედ წყალწითელას ხეობაშია.
ზაფხულშით აქ გადასარევი ნიაგი იცის. მსოფლიოს დე-
დაქალაქ პარიზში რომ ნიაგების გამოფენა მოეწყოს, იქ
პირველ ადგილს უსათუოდ წყალწითელას ხეობის ნიაგი
აიღებდა.

ამ ნიაგმა მალე იგი თბილისში, დედაუნივერსიტეტ-
ში, დაჭრილი ხობობით ჩამოაგდო.

უნივერსიტეტში მისი ხელმძღვანელები იყვნენ საქვეყნოდ
განსმენილი ენათმეცნიერები: არნოლდ ჩიქობავა, ქეთევან
ლომთათიძე, ივანე ქავთარაძე... ამავე დროს, ახლოდან
პირველად გაეცნო სრულიად საქართველოს. ეს მოხდა
სწორედ ვაკის სტუდენტთა ქალაქში, სადაც ერთმანეთის
გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ, სწავლობდნენ, საქმიანობ-
დნენ, კამათობდნენ, თამაშობდნენ და ჩხუბობდნენ კი-
დეც აჭარბებდნენ და კახელი, ინგილონი და მეგრელები,
გურულები და იმერლები, ქართლები და ხევსურ-თუშნი,
მთელი საქართველო. სწორედ სტუდენტთა ქალაქში ხდებოდა
ის, რაც არასოდეს არც ერთ ქვეყანაში არ მოხდებოდა:
დაუეწყარი სტუდენტი მიმა ჩაგუნავა მივიდოდა მავან კა-
ხელთან, ეტყობა: იმერელმა გოგოლაშვილმა პურმარლი
ჩამოიტანა, ახლა კახური რქაწითელი შენგა; მერე იმ-
ერელს მიავითხვება – ამა და ამ კახელმა მადლიანი რქა-



წუთისოფლის
საინჟინერო
სტუდია

ენას უნდა ჰყავდეს პატრონი, რომ არ გაუჩნდეს ბატონი!

წითელი ჩამოიტანა, ახლა პურმარლი შენგაო. ასე შეკ-
რებდა ხალხს, დადგებოდა თამამად და ქება-დიდებათ
ცაში აჰყავდა ცალკე კახეთი, ცალკე მთიანეთი – იმერეთი.

რამდენი ასეთი პურმარლი უჭამია!

გარდა ამისა, ექსკურსიით მთელი ქვეყანა შემოიარა:
სვანეთი და ხევსურეთი, მესხეთი და ჯავახეთი, ქართლი
და კახეთი ...

პატარაა საქართველო, მაგრამ ვრცელია და დაუს-
რულვებელი.

ქართველმა ხალხმა ორთა გალაგანი შემოავლო სა-
ქართველოს – ქართული ენა და ორიგინალური ანბანი
(**ლეონ ბრეგაძე**).


მუდამ და მარად სწორედ ამ **ორთა გალაგანს** უვლიდა
ირველივე ჩვენი ენის ფხიზელი მეცხიზენე და ამ სამსა-
ხურში გალია მთელი სიცოცხლე.

ამიტომაც აქტიურობდა სამეცნიერო კონფერენციებ-
ზე – ეგ იყო ჯერ სტუდენტთა, შემდეგ ასპირანტთა, ბო-
ლოს კი მეცნიერთა თავყრილობები.

აქვეყნებდა წერილებს, მოხსენებებს, გამოკვლე-
ვებს სამეცნიერო კრებულებში, ცალკე მროშურებად,
ჩიგნებად ...

უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სამ-
ხედრო სამსახური ხვდა წილად. ყოფნა მოუწია ლენი-
ნაკანში, ბაქოში, ერევანში ... გაეცნო რეალურ ცხოვრე-
ბას, შეიცნო ამიერკავკასია და კავკასიის ხალხები.

მერე კი აქეთ, ქალაქში, ცხოვრების ჩარფუზანა მედ-
გრად დატრიალდა: პროფესორმა მესიკ ჯორბენაძემ და
ახალმედა მკვლევარმა ჩამოაყალიბეს მუდმივმოქმედი
სემინარი „საენათმეცნიერო საუბრები“. სხდომები ხშირად
იმართებოდა. სწორედ აქ წაიკითხეს გახმაურებული მოხ-
სენებები ბ. ჯორბენაძემ, რ. ენუქაშვილმა, მ. გოგოლაშ-
ვილმა, სხვებმა... პერიოდულად გამოდიოდა ენათმეც-
ნიერული კრებულები: „ზოგადი და იმერულ-კავკასიური
ენათმეცნიერების საკითხები“, „ნარკვევები იმერულ-კავ-



კასიურ ენათა მორფოლოგიიდან“, „საენათმეცნიერო ძი-
ებანი“... და აი, 2022 წ. უკვე გამოიცა „საენათმეცნიერო
ძიებათა“ 43-ე წიგნი. თანამოაზრეთა მიერ დაწყებულ ამ
საშურ საქმეს 1993 წლიდან გ. გოგოლაშვილი წინამ-
ძღვრობს. ამასობაში მოამზადა და დაიცვა საკანდიდა-
ტო და სადოქტორო დისერტაციები, რომლებსაც დადე-

ბითად გამოეხმაურნენ თვით „ზეპური მამანი“ ქართული
მეცნიერების: არნოლდ ჩიქობავა, ანტონ კიზირია, არ-
ამ მარტიროსოვი, მესიკ ჯორბენაძე, ზურაბ ჭუმბურიძე,
თამაზ გამყრელიძე, ამირან არაბული, მიხეილ ქერდი-
ანი...

1978 წლიდან მკვლევარი ენათმეცნიერების ინტიტუ-
ტის თანამშრომელია. მოგვიანებით გახდა თსუ ახალი ქარ-
თული ენის კათედრის პროფესორი, ძველი ქართული ენის
კათედრის პროფესორი, იმავე კათედრის გამგე, ქართული
ენის ინსტიტუტის დირექტორი ...

2006 წელს, როგორც ყველა აქტიური და გამორჩე-
ული სწავლული, სააკაშვილმა ისიც გამოაძევა უნივერ-
სიტეტიდან.

ენათმეცნიერების ინსტიტუტი კი რა თანამდებობა აღარ
სჭერია: იყო დირექტორის მოადგილე, სწავლული მდი-
ვანი, სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, განყოფილების
ხელმძღვანელი ...

და ყველაზე „საპატიო თანამდებობა“ – მრალდემუ-
ლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მეამბოხე პრო-
ფესორთა“ (ზოგი „წყაროს“ მიხედვით, „ხულიგან პრო-
ფესორთა“) საქმეში ...

მუდამ აქტიური, დაუდევარი მოღვაწის სამეცნიერო
კვლევა-ძიება ძირითადად **ოთხი მიმართულებით** გაიშ-
ალა: 1. ქართული ზმნა; 2. ქართული დიალექტოლო-
გია; 3. ენა და მწერალი; 4. იაკობ გოგებაშვილი და მი-
სი „დედაენა“ (აქ, ერთი მხრივ, წარმოდგენილია სამეც-
ნიერო ნარკვევები უკვდავი პედაგოგის თემებზე, ხოლო,
მეორე მხრივ, **კრიტიკულ-პუბლიცისტური სტატიები „დე-
დაენის“ დასაცავად დამოუკიდებელ საქართველოში**).

დაიხ, დაიხ და დაიხ!
ნუ გაგიკვირდებათ: დამოუკიდებელ საქართველოში
უფრო გაჭირდა „დედაენისა“ და დედაენის დაცვა, ვიდ-
რე ცარიზმის პირობებში.

ქართული ზმნის მეცნიერებმა ავთანდილ არაბულთან
ერთად გამოცა „ახალი ქართული ენის“ ოთხტომეული.
ეს გახლავთ **ახალი ქართული ენის ერთიანი შემაჯამე-
ბელი კურსი**. მანამდე გ. გოგოლაშვილმა განახორცი-
ელა ბ. ჯორბენაძის ჩანაფიქრი – გამოსცა „თანამედრო-
ვე ქართული ენის მორფოლოგიის“ პირველი ტომი. მოგ-
ვიანებით მისივე მონაწილეობით მოხერხდა და გამოვი-
და ქართულ დიალექტთა მორფოლოგია (2016). საკუ-
ლისხმოა, რომ ცალკე ტომი დათმობ 18 დიალექტის მრუ-
ნება-უღლებს პარადიგმებს. **ეს გახლავთ პირველი მსგავსი
გამოცემა მთელ მსოფლიოში**.

ჩვენმა სწავლულმა და ძმათა მისთა კარგად იცინა ერთი
რამ: **ენას უნდა ჰყავდეს პატრონი, რომ არ გაუჩნდეს
ბატონი!**

ამ მიზნით გ. გოგოლაშვილმა შექმნა საგანგებო სა-
ლექციო კურსი **თანამედროვე მწერალი და ენობრივი
პრობლემები**. ამ კუთხით შეისწავლა მან დ. კლდიაშ-
ვილის, მ. მაჭავარიანის, ა. კალანდაძის, მ. ჯავახიშვი-
ლის, კ. გამსახურდიას, ო. ჩხეიძისა და სხვათა შემოქ-
მედება, გამოსცა სათანადო მროშურები, კრებულები. ამ
მხრივ „სამკალი ფრიად არს“ და ისიც აგრძელებს საქ-
მიანობას.

„პირველ ოფლგადამდინარე“ მკვლევარს ასე დაუგ-
როვდა ორმოცზე მეტი წიგნი, მროშურა, კრებული, ფო-
ლიანტი, ასე მოიხვეჭა და მოინაგრა ხუთი-ექვსი პრემია
თუ მედალი, დიპლომი თუ სიგელი.

პირველი ლირიკული გადახვევა:

ახალმედა მკვლევარმა, როგორც იქნა, 1984 წ. პირველი
ნაწიანატრი წიგნი გამოსცა, თავისთვის სანიამო, მოსა-
ფერებელი – „დრო-ვილოთა მფორე სერის ფორმები ახალ
ქართულში“. მოგესხენებათ, რა მგზნებარეა პირველი წიგნის
სინაზური! ჩაიტანა სოფელში, აჩუქა დედას დიდის რუ-
დუნებით.

მეორედ რომ ჩავიდა, მშობელმა ახარა – შენი წიგნი
წავიკითხეო!

ქიმიკოს დედას ნაშეიშა მალგალაკურად შუკლილია:
- მერედა მანდედან რა გაიგეო?!

გულდაწყვეტილმა მანდილოსანმა შეხედა და უგერ-
გილო ირონია აგრე მოიგერია:

– სუნთქვა მესმოდა შენი, შვილო!

ახალმედა მკვლევარი მიხვდა თავის შეცდომას და თავი
მწუხარედ ჩაქინდრა.

მეორე ლირიკული გადახვევა, პირველზე უფრონე ნალ-
ვლიანი:

როცა მხცოვანი დედა სოფელში ჩასული შვილის მან-
ქანას მოჰკრავდა თვალს, შესძახებდა: - მოხვედი, შვი-
ლო?! და, ვიდრე ნაშეიშა ჭიშკარს შეაღებდა, უკვე იქვე
იყო გაჩენილი. არადა ვრცელია იმერული ენა – სახ-
ლიდან ჭიშკრამდე „კაი სამოყვრო მანძილია...“

მერე და მერე ეს მანძილი თანდათან მოკლდებოდა:
ჯერ შუა ენობი ხვდებოდა, ბოლოს – მედ კიბესთან, სა-
ხელურზე ჩამოყრდნობილი ... ერთხელაც იყო და... სულ
ვედარ გამოეგება.

ასეა, დროის ტრიალს ვინ შეაჩერებს?
ვერც ცნობილმა ენათმეცნიერმა შეაჩერა – ისიც მიაღ-
გა მხცოვანების თმაჭალარა საზღვარს.

**გიორგი გოგოლაშვილმა, თვით სა-
ქართველოს კათალიკოს-პატრიარქის
მიერ დალოცვილმა, ქართველი ხალ-
ხის ცხოვრება მავანივით კი არ
დააუშნოვია, არამედ გაამშვენა და და-
ამშვენა. იგი თავაწიული ეგებება თავისი
ცხოვრების ლამაზ თარიღს – 75 წელს.**



გიორგი
თავდიშვილი

დაიწყო სვანეთის საერთაშორისო კინოფესტივალი



Let's take a picture.
გადავიღოთ სურათი.

**სვანეთის საერთაშორისო
კინოფესტივალის ფარ-
გლებში, მესტიის კულტურისა
და ხელოვნების ცენტრში, სა-
კონკურსო მოკლემეტრაჟი-
ანი ფილმების ჩვენება გა-
იმართა.**

საკონკურსოდ შერჩეულია
20-მდე ფილმი, რომლებსაც
უცხოელი და ქართველი კი-
ნოკრიტიკოსები შეაფასებენ.
უიურის წევრების მიერ გამოფ-
ლინდება საუკეთესო მოკლე
მეტრაჟიანი ფილმი, რომლის
ავტორსაც გადაეცემა „ქალ-
ღმერთი დალის“ გრან-პრი,
ხოლო სხვა გამარჯვებულ
ფილმების ავტორებს ფულადი
პრიზები. ფესტივალი წელს
100-მდე უცხოელ და ქარ-
თველ კინოხელოვანს მასპინ-
ძლობს.



ბაზარს პოსოვით და გვიშველისო, = სასასილოა!

ბინების ფასმა პატარა ბიზნესის მფლობელებს კარგად მოეხება, აღვივლებს რაიმეს შექმნა კალიან უჭირთ

გამორიცხული არ არის, საქართველოში მოქალაქეების უმრავლესობამ ვეღარც კი მოახერხა უძრავი ქონების შექმნა. მიზეზი ისაა, რომ ფასები არანორმალურად იზრდება, ამ დროს კი ქვეყანაში ყველანაირმა ბუმმა და აფეთქებამ ჩაიარა, რელიზაციის მაჩვენებელიც მცირდება, მაგრამ ბაზარზე ვითარება პოტენციური მყიდველებისთვის სულ უფრო უარესდება. საქართველოს მოქალაქეები თანდათან ჩიხში ექცევიან.

საზოგადოების ნაწილი დახმარებას უკვე მთავრობას და პარლამენტს სთხოვს. ამ პრობლემით განსაკუთრებით შეწუხებულია ადგილობრივი მოსახლეობა, რადგან რთული ვითარება არა მხოლოდ დედაქალაქშია, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბით არანორმალურად გაზრდილია ფასები.

მოქალაქე მარიამ ჭყონიამ პარლამენტს და პრემიერ-მინისტრს საკანონმდებლო წინადადებით უკვე მიმართა. როგორც იგი აღნიშნავს, ბოლო პერიოდში საქართველოში ბინების ფასმა კატასტროფულად მოიმატა, რითაც ბარათი ადგილობრივები, რომლებიც ბინის შეძენას ვეღარ ახერხებენ. დედაქალაქთან ერთად საქმე ბათუმშიც საკმაოდ რთულადაა.

„მათუმი, ფაქტობრივად, მაკლერების მიზნის ქალაქი იქცა, სადაც ფასები არის გაუკონტროლებელი. ამას აღასტურებს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში არსებული საქმეებიც მაკლერებზე, მინის მემარტონებზე, რომლებიც ერთი და იგივე ბინას რამდენიმე მოქალაქეზე თაღლითურად ყიდიან. მოგვივლით, მთავრობის, პარლამენტის მიერ შემუშავდეს კანონი, რომლითაც მოხდება ბინების ფასის რეგულირება, დასტაბილურება და კანონის ფარგლებში მოქცევა“, – აღნიშნულია საკანონმდებლო წინადადებაში.

განახლებული სტატისტიკური მონაცემებით, თბილისში 2023 წლის პირველ 6 თვეში უძრავი ქონების გაყიდვა შემცირდა, ფასი კი მაინც გაიზარდა. ამის პირველ მიზეზად გადვირებული სამშენებლო მასალები სახელდება, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ არა მხოლოდ ახალ აშენებულ ბინებზე გაიზარდა ფასი, არამედ ძველი უძრავი ქონების ფასიც საგრძნობლად მომატებულია.

სტატისტიკიდან ირკვევა, რომ 2023 წლის

პირველ ნახევარში თბილისში 20 026 ბინა გაიყიდა, რაც წინა წლის პირველ ნახევართან შედარებით, 2%-ითაა შემცირებული.

თბილისში ახალ პროექტებში ტრანზაქციების 0.4%-იანი კლებაა. ძველ პროექტებში კი, 2022 წლის პირველ ნახევართან შედარებით, მაჩვენებელი 6%-ით შემცირდა.

მოსახლეობას არა მხოლოდ შეძენა უჭირს, არამედ შესაძლოა, ბინების ქირაობის პრობლემაც დადგეს დღის წესრიგში, რადგან ეს ყველაფერი საზოგადოების შემოსავალს შევრად აღემატება.

ანალიტიკოსი მერაბ ჯანიაშვილი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია საბინაო პოლიტიკის არსებობა, რაც ვითარებას შეამსუბუქებს.

„მაშინ, როცა არ გვაქვს არანაირი საბინაო პოლიტიკა, ლოგიკურია, რომ ბინების ფასი იმაზე მეტად მაღალია, ვიდრე მოსახლეობის შემოსავალი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით საშუალო ხელფასი ახლახან ავიდა 1700-ლარზე და ამით რისი ყიდვა შესაძლებელი? თუნდაც პატარა ფართის ფასი ბინა, 50-60 ათასი დოლარი მაინც ღირს.“

არ არსებობს არანაირი შედეგებით არც ახლად დაქორწინებულებისთვის, არც მრავალშვილიანებისთვის ან სხვებისთვის. ბოლოს კოვიდის დროს ითქვა, რომ 5 წელი პროცენტს გადაუხდინენ მათ, ვინც პანდემიის პერიოდში შეიძინა ბინა, თუმცა ესეც იმით გავრცელდა, რომ არა ხალხისთვის გამართვებულიყო უძრავი ქონების ყიდვა, არამედ სამშენებლო კომპანიებს დახმარებოდნენ.

ასეთი პოლიტიკის პირობებში სულ უფრო და უფრო მაღალი ფასი იქნება უძრავ ქონებაზე, ხოლო მოსახლეობის მხრიდან ხელმისაწვდომობა დარჩება დაბალი“, – აღნიშნა ჯანიაშვილმა.

წლის პირველ ნახევარში, თბილისში ძველი ბინების შემთხვევაში, საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასი 6%-ით გაიზარდა გარეუბნებსა და ქალაქის ცენტრში, ფართო ცენტრში კი 3%-იანი ზრდა დადასტურდა.

ახალაშენებულ ბინების შემთხვევაში საშუალო შეწონილი გასაყიდი ფასმა 9%-ით მოიმატა გარეუბნებში და ფართო ცენტრში, ქალაქის ცენტრში კი 7%-იანი სხვაობა აღინიშნა.

აბაბ დანელია



არს ფაქილი ბაძვირდება, არს პური!

მარცვლელის უთანხმების ჩაშლას საქართველო პირს კი იბრძნობს

შავი ზღვის მარცვლელის უთანხმების შერყევას საქართველოში გავლენა არ ექნება. არც ხორბალი, არც ფქვილი და მით უფრო არც პური არ გაძვირდება. ქვეყანაში მოსავალიც ნორმალურია, რომლის აღების პროცესი სწორედ ახლა მიმდინარეობს, ფქვილის მარაგაც რამდენიმე თვისაა, ხოლო ხორბლის იმპორტი ამ მომენტისთვის საერთოდ არ ხორციელდება.

ფოთის მარცვლელის ტერმინალის დიქტორის ქეთევან კუბლაშვილის ინფორმაციით, მსგავსი შემთხვევა პირველი არ არის და, დიდი ალბათობით, წინა შემთხვევის მსგავსად, სიტუაცია მალევე დარეგულირდება. ხორბლის უმსხვილეს მწარმოებლებს რუსეთი და უკრაინა წარმოადგენენ. თუმცა, მსოფლიოს წელს მარცვლელის საკმაოდ კარგი მოსავალი აქვს, შესაბამისად, მასზე ხელმისაწვდომობა საკმაოდ თავისუფალი, ხოლო წლებგანდელი ხორბლის ფასი სტაბილური იქნება.

„ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ რუსეთმა რამდენიმე პირობა დააყენა. თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ ეს პრობლემა პირობების დაკმაყოფილების გარეშე მოგვარდება. ვარდა ამისა, საქართველოში ამ მომენტისთვის ხორბლის იმპორტი არც ხორციელდება. ქვეყანა ფქვილის შემოტანაზე ვადასუელი, რომელიც რუსეთიდან სამაქნარო გზით შემოდის. ასე რომ, საქართველოში რაიმე ვადასუელი არ ველოდები“, – განაცხადა კუბლაშვილმა.

მისივე თქმით, დარეგულირდა საკითხი ევროკავშირის ქვეყნებთან მიმართებაში, რომლებსაც რუსეთის გასული მწველი პრობლემა ექმნებოდათ. როგორც კუბლაშვილი აცხადებს, ალტერნატიული გზა უკვე ნაპოვნია, რომელიც უკვე 5 თვეა არსებობს.

ფოთის მარცვლელის ტერმინალის დიქტორის მტკიცებით, რუსეთმა გასული წლის მოსავლის დიდი ნაწილი ბაზარზე გატანა ვერ შეძლო, ამასთან წელსაც მოსავლის კარგი მაჩვენებელი აქვს. იგი ვარაუდობს, რომ საბოლოო ჯამში, რუსეთი იძულებული გახდება დათმობაზე წავიდეს.

ყველაფერთან ერთად წელს საქართველოში კარგი მოსავალიცაა. წისქვილკომბინატები ქართულ ხორბალს ინტენსიურად იბარებენ, არის მარაგებიც. საერთაშორისო ბირჟებზეც ფასი სტაბილურია. „ხორ-

ბლისა და ფქვილის ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორის ლევან სილაგავას ინფორმაციით, არც ისე ცუდი მდგომარეობაა ფასთან მიმართებაში, რადგან მოსავალი საკმაოდ მაღალია.

„მიმდინარეობს კულუარული მოლაპარაკებები, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის დამრუნებას მარცვლელის შეთანხმებაში. რუსეთი ათი თვის წინაც გავიდა ამ შეთანხმებიდან, მაგრამ მაშინ თურქეთმა მაინც გამოიყენა გემები უკრაინის პორტებიდან. როდესაც რუსეთმა დაინახა, რომ ეს საქმე უმისოდაც კეთდებოდა, დაუზრუნდა ამ შეთანხმებას. ახლაც, მელენსკიმ მიმართა ენდოვანი, რომ რუსეთის განრეშე გავრცელებულია ვარაუდები, ამიტომ, დიდი ალბათობით, შეთანხმება გაგრძელდება და ამიტომ ბირჟებზე ფასებმა კვლავ დაიკლო.“

დიდ როლს თამაშობს ის, რომ რუსეთს შარშანაც და წელსაც კარგი მოსავალი ჰქონდა, ამიტომ მათი მოტივაცია არის, რომ მოსავალი გაიყიდოს. არის იმისი მოლოდინიც, რომ რუსეთი, როგორც ამას ხშირად აკეთებს ხოლმე, არაორდინალურად, არალოგიკურად მოიქცევა. არ გამოიხატოს ეს ხორბალი, მაგრამ მაინც მგონია, რომ 50/50-ზეა გაგრძელება-არაგაგრძელების საკითხი“, – განაცხადა ლევან სილაგავამ.

რაც შეეხება საქართველოში მოსავალს – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, წისქვილკომბინატებში ხორბლის მიღების პროცესი აქტიურ ფაზაშია და შეუფერხებლად მიმდინარეობს. მოსავალს 20-მდე წისქვილი იბარებს.

„პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად. ყოველდღიურად დაახლოებით 250-300 ტონა ხორბალს ვიბარებთ. რა თქმა უნდა, სტანდარტების შესაბამის სასურსათო ხორბალზე გვაქვს საუბარი. ხარისხიან ხორბალს ჩაბარების პრობლემა არ აქვს“, – განაცხადა შპს „ჯეიმოლის“ ხელმძღვანელმა მესიკ მუშაშვილმა.

მეხორბელი ფერმერების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ იმპორტირებულ ფქვილზე, დროებით, 5 თვის ვადით, სიმიპორტო საფასური დააწესა. გააწყვეტილება ძალაში 10 ივნისს შევიდა.

დანიელ ჰაბაური

ღვინის ფასბივალე რაჭა-ლეჩხუმში

რაჭა-ლეჩხუმის ღვინის რეგიონი მთელი ფესტივალის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქალაქ ცაგერში გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ავრცელებს.

წელს ფესტივალში რაჭა-ლეჩხუმის რეგიონის დიდი, საშუალო და მცირე 65 მარანი მონაწილეობდა. მათ საკუთარი პროდუქცია ფესტივალის სტუმრებს, ევროპის ქვეყნებიდან მოწვეულ საგაჭრო ქსელების წარმომადგენლებს, სომელიეებს, იმპორტიორებს და ქართველ ექსპორტიორებს წარუდგინეს. ფესტივალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაწილე იური ნობაძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მესხუბლა დაესწრნენ.

„ჩვენი მიზანია, ხელი შევეწყოს ღვინის მწარმოებელ კომპანიებს და მცირე მარნებს, მოახდინონ საკუთარი პროდუქციის პოპულარიზაცია, გაზარდონ ცნობადობა, შესაბამისად, გაყიდვები და შემოსავლები“, – აღ-

ნიშნა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, იური ნობაძე.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, ლევან მესხუბლას განცხადებით, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ფესტივალის რეგიონში მევენახეობა-მეღვინეობის დარგის გან-



ვითარებას უწყობს ხელს. ცაგერში გამართული ფესტივალის ფარგლებში, ჩატარდა ღვინის მასტერკლასები, მოწვეულ სხვადასხვა სახის აქტივობა რეგიონის გასტრონომიული ტრადიციებისა და ეთნოკულტურის წარმოსაჩვენად, ფესტივალის საზეიმო კონცერტით დასრულდა.

რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ფესტივალის მხარდაჭერები ასევე არიან სახელმწიფო რწმუნებულის-გუგუნიანთა რეგიონის აღმინისტრაცია რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში, რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთის მაჟორიტარი დეპუტატის ბიურო, ამბროლაურის, ცაგერის, ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიები, სოფლის განვითარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახური.

აღსანიშნავია, რომ ფესტივალისთვის მზადების ფარგლებში, მიმდინარე წლის აპრილში, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, რაჭა-ლეჩხუმის ღვინის მწარმოებლებს შესაძლებლობა მიეცათ, გაეცნოთ ერთ-ერთიანი პროფესიული სასწავლო კურსი. რაჭა-ლეჩხუმის პირველ ფესტივალს, გასულ წელს, ქალაქმა ამბროლაურმა უმასპინძლა.

საქართველოს რეგულირება

კალიბოური პროსტიტუცია

წამოვიყვანე პროსტიტუცია შეიძლება ორ კატეგორიად დაყოფილი: 1) ღმერთების საძიებლად ერთმანეთს ეძებნენ და 2) მადონის წამოვიყვანე მამაკაცებს.

პირველ შემთხვევაში ლაპარაკია ქალიშვილის უბიძგობის მსხვერპლად შექონებაზე, ანდა უკვე დეფორმირებული ქალის ერთგვარად სექსუალურ კონტაქტზე უცხო მამაკაცთან. ორივე შემთხვევაში, თუკი მამრის როლს რაიმე ღვთაებრივი სიმბოლო (ფალოსი ან სხვა) არ ასრულებს, მაშინ ქალი ერთ ან რამდენიმე მამაკაცს ეძღვნება, რომლებიც ღვთაების ნაცვალად უნდა განვიხილოთ. ვეგვარეშა, რომ ასეთი რელიგიური პროსტიტუცია არის შიში პირველყოფილი სქესობრივი ადვილანსილობის შეზღუდვის სურვილით, რომლის სრულად მოცილებას ვერ ვერ შევძლებთ. მაგრამ შესაძლებლობისდაგვიანად „ავიწროვებენ“. ამ მიმართულებით მომდევნო ნაბიჯია მუდმივი პროსტიტუცია, რადგან მასში, პროფესიონალ რელიგიურ მეძავთა გარდა სხვა ქალები აღარ მონაწილეობენ.

ამრიგად, ტაძარში სქესობრივი ურთიერთობის წეს-ჩვეულება წარმოიშვა რელიგიური, ღვთაებისთან კავშირის სალოცავი დამყარების სურვილიდან, ხოლო როცა ღვთაებებს თავთავისი ტაძრის ქურუმი ქალები გაუჩნდნენ, მასთან კავშირი მათი მეშვეობით მყარდებოდა.

რაც შეეხება აფროდიტის მსგავს ქალღმერთებს, მათი მეძავი-ქურუმები, რომლებიც სილამაზით, განსწავლულობითა და გონიერებით გამოირჩეოდნენ, ხშირად თვით ღვთაების განსახიერებლად მიიჩნეოდნენ.

აუცილებლად უნდა ითქვას, რომ რელიგიური პროსტიტუცია გავრცელებული იყო კვიპროსზე, სირიაში, ათენაში, მისი გამაგრებლები უმთავრესად ფინიკელები იყვნენ, მაგრამ როცა მან ბაბილონიდან დასავლეთით დაიწყო გავრცელება და ქანაანის მხარეს (ისრაელელებამდე) მიიწია, იქ თავიდანვე უდიდეს წინააღმდეგობას წააწყდა. მიუხედავად ამისა, ის მაინც გავრცელდა, თუმცა კი ერთობ მოკრძალებულად, უფრო გვიანდელ ხანებში კი რელიგიურ მეძავობას იქ ძირითადად უცხოებიდან ჩასული ქალები მისდევდნენ.

ყველა შემთხვევაში უნდა აღვნიშნავთ, დანამდვილებით ჰეტეროსექსუალურ რელიგიურ პროსტიტუციას ეხება, ხოლო პირვანდელი რელიგიური ჰომოსექსუალური პროსტიტუციის წარმოშობა, სრულიად გავრცელებულია. ამ ერთობ გასათვალისწინებელია წეს-ჩვეულების შესახებ, რომელიც, ჰეტეროსექსუალური პროსტიტუციის მსგავსად, პრიმიტიული ნიშნებით ხასიათდება, მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება: ეს გამოცანა, რომლის სარწმუნოდ არსსა თანამედროვე მეცნიერებებსაც არ ძალუძს, ვადაც მათი მხრიდან იდუმალებით მოყვანილი უნდა ყოფილიყო პირვანდელი ადამიანისთვის. ადამიანი, რომელსაც საკუთარი სქესისადმი დაბადებიდან დაყოფილი მისწრაფება ჰქონდა, უაღრესად უცნაურ, ბუნების გასათვალისწინებელად, ერთგვარი სასწაულის ტოლფასად აღსაქმელი რამ იყო, ამიტომაც თანამომხმობა თავიანთსავე ადვილად იმსახურებდა. არსებული ეთნოლოგიური მასალა მოწმობს, რომ ჰომოსექსუალური სუბექტები პირველყოფილი ადამიანების რელიგიურ კულტურებში ზოგჯერ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ. ქურუმი მამაკაცი, კაცდმერთებს მამაკაცურ, ქალღმერთებს კი ქალურ სამოსელში გამოწყობილები ემსახურებოდნენ, ხოლო ორივე სქესის სექსუალური

გაგრძელება. მსახურისი №83, 85



ქურუმების სეკვა. ძველი ინდოეთი



სატარო პროსტიტუცია

პროსტიტუციის ისტორია

დღესდღეობით, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, პროსტიტუციის მიმართ მიდგომა და შესაბამისად, მისი საკანონმდებლო დონეზე რამდენიმე დანახვად და მოხმარებაზე დასაჯილად დასჯილად უარს უთხრა. 2014 წელს ევროპარლამენტმა რეგულაცია მიიღო, რომლითაც პროსტიტუცია ადამიანის ღირსების შელახვად აღიარდა, რომელიც მის პირდაპირ დასაჯილად უარს უთხრა.

2014 წელს ევროპარლამენტმა რეგულაცია მიიღო, რომლითაც პროსტიტუცია ადამიანის ღირსების შელახვად აღიარდა, რომელიც მის პირდაპირ დასაჯილად უარს უთხრა.

მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, სქესის გარდაქმნა ისწავლეს. ასეთ ქალებად გადაქცეული ქურუმი მამაკაცები ემსახურებოდნენ ჰომოსექსუალურ პროსტიტუციას და ეს წეს-ჩვეულება არაერთ პირველყოფილ ხალხში იყო გავრცელებული. ჰომოსექსუალიზმის შემდგომმა გავრცელებამ (მათ შორის, ანტიკურ ელადამში, ძველ რომა და მოგვიანებით მაჰმადიანურ აღმოსავლეთში) ე. წ. „ზიგებისადმი სიყვარულის“ ფორმა მიიღო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ჰომოსექსუალიზმი და ჰომოსექსუალური პროსტიტუცია განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული კოლუმბიდელ ამერიკაში.

რაც შეეხება ძველი სამყაროს ჰომოსექსუ-



ჰომოსექსუალური სქესი. ძველბერძნული ჟურნალის მოხატულობა 540 წ.

ამჟამად პროსტიტუცია სრულად დაკანონებულია და კანონმდებლობით რამდენიმე ქვეყანაში, მათ შორის ავსტრიაში, გერმანიაში, საბერძნეთში, უნგრეთში, ლატვიაში, ნიდერლანდებში, შვეიცარიაში და თურქეთში.

აღურ რელიგიურ პროსტიტუციას, თვით მისი არსებობის ფაქტებს ბიბლია იძლევა, სადაც მითითებულია მისი დიდი მნიშვნელობა ასირიული კულტურის გავრცელების ადგილებში. აქაც თვალმისაცემია უდიდესი წინააღმდეგობა, რომელიც არსებობდა ჰომოსექსუალიზმსა და ისრაელელთა წმინდა სულიერ მონოთეისტურ, ასევე წინა აზიის ხალხთა პირველყოფილ რელიგიებს შორის: ბიბლიის მიხედვით, პედერასტია „ვეგვიტის მიწის საქმეებს განეკუთვნება“ და ქანაანის მიწაზე მისი ადგილი არ არის. გარდა ამისა, ავტორი ასევე მიუთითებს პრიმიტიული, შეუზღუდავი სქესობრივი ცხოვრების გადმონაშთის კავშირზე არამართ რელიგიასთან, არამედ ხელოვნების ელემენტებთანაც (სიტყვა „ხელოვნების“ ავტორი ძალიან ფართოდ იმპაზონში განიხილავს და მას მიაკუთვნებს არა მხოლოდ ცეკვას, მუსიკას, მხატვრობასა და პოეზიას, არამედ განცხრობას, ექსტაზს, მამოტივებსა და სხვ. - ო. ტ.) სწორედ ამით

ახსენება ის თავისებური ფაქტი, რომ როგორც სავესტო კულტურულ, ისე ნახევრადკულტურულ და პირველყოფილ ხალხებში, ხშირია შემთხვევები, როცა მომღერალი, მოცეკვავე თუ მსახიობი ქალები ამავდროულად მეძავეიც, ჰეტერები არიან, რის უამრავი მაგალითია მოყვანილი, რომელთაგან განსაკუთრებით ე. წ. „აღმოსავლური“ ანუ „მუსიკის ცეკვა“ გამოირჩევა თავისი ერთობიანობა და სექსუალობით.

დოქტორი ი. მლოხი ცალკე აღნიშნავს პროსტიტუციის მხატვრული ფაქტორის მჭიდრო კავშირზე სხვადასხვა ნივთიერებებით თრობასთან, როგორც ყოველდღიური ყოფისგან და კულტურით შექმნილი სქესობრივი შეზღუდვებისგან გათავისუფლების საშუალებას, რომელიც მთელ დედამიწაზე ადამიანის უკიდურეს განცხრობამდე მიყვანის უნივერსალურ საშუალებად მიიჩნეოდა...

ხელოვნური აღმზღნები საშუალებებიდან აღსანიშნავია თრიაქი (ჰამპში), ოპიუმი, ბეტელი, კოკა, თამბაქო, ჩაი, ყავა, ღვინო, ლუდი და სხვა სპირტიანი სასმელები, მოგვიანებით - ეთერები. გარდა ამისა, მათ რიცხვს ასევე მიეკუთვნებიან საკმეველები და სუნამოები, რომლებსაც მეძავობასთან მეტად მჭიდრო კავშირი აქვთ, ვინაიდან სქესობრივ ურთიერთობებში ცნოსვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

მეძავობის კიდევ ერთ დამახასიათებელ ნიშანს, მანათობას და აზნობთან მისი უძველესი კავშირი წარმოადგენს. ეგვიპტური, ინდური და ბერძნული მითები მოწმობენ, რომ პირველყოფილი ადამიანის გავებით, წყალსა და გამრავლების აქტს შორის მჭიდრო კავშირი არსებობდა. მეტიც: წყალი ყოველივე არსებულის პირველმშენებლად კი მიიჩნეოდა. წყლის სპეციფიკური ენოტიკულ-სქესობრივი ხასიათი, პირველ ყოვლისა, ბერძნული აფროდიტის (რომელიც ვენერას) წყლის ქაფიდან დაბადების მითიდან ჩანს, რის გამოც მან „ანადიომენას“ მეტსახელი მიიღო. ამასვე მანიშნებენ მრავალრიცხოვანი წყლისა და მდინარეების ღვთაებები, მაგალითად, ნიადაგი, ნიმფები. მოგვიანებით წყალსა და სქესობრივ ურთიერთობებს შორის კავშირი კიდევ უფრო მეტად განმტკიცდა სხვადასხვა რელიგიაში სქესობრივი აქტის შემდეგ აუცილებელი განზავის მოთხოვნის შემოღების შემდგომ. აზნობებში პროსტიტუცია გავრცელებული იყო როგორც აზიაში და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ასევე ევროპაში (რომში, საბერძნეთში, ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, რუსეთში, უნგრეთში).

ცივილიზაციის გარიჟრაჟზე, პირველყოფილ ტომებში სქესობრივი კავშირების სრული თავისუფლება (პრომისქუიტი), ანუ სპირტი ცოლმისა და კომუნალური მუდღეობის ინსტიტუტი არსებობდა.

მოგვიანებით, მომავალი ცოლის დატყვევებასთან ან მოტაცებასთან ერთად, წარმოიშვა ცოლქმრობის მეორე, ასე ვთქვათ, ევრონიკური საფუძვლის მქონე - პატარალის ყიდვის ფორმა. პატარაში იხილენ როგორც ნაღ ფულს, ასევე შინაურ ცხოველებს, მარცვლეულსა და სხვა ფესულოვებს, თანაც გათხოვებამდე მას თანხმობას არავინ ევითხოვდა. ამ შემთხვევაში, პირველ პლანზე, ევრონიკურის შემდეგ, სოციალური და ბიოლოგიური ასპექტები გამოდით. ადრე შეასუქნოვან ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული ცოლქმრული დალატისთვის დაწესებული საკანონო სანქციები, მაგალითად, ძველი ანგლოსაქსონური კანონით, გათხოვილი ქალის შემცდრება მისი ქმრისთვის ფულადი გასამრჯელო უნდა გადაეხადა და კიდევ სხვა ქალი მოეძებნა, რომლისთვისაც ფული უნდა გადაეხადა, რათა იმასთან სქესობრივ კავშირს დასთანხმდებოდა. ამასთან, საინტერესოა ისიც, რომ ფულადი ჯარიმების ოდენობა ქალის სოციალურ სტატუსის შესაბამისი უნდა ყოფილიყო. ვთქვათ, აზნაურის ცოლი 6 გირვანქა სტერლინგი ღირდა, რაც იმხანად ძალიან დიდი თანხა იყო, გლეხის ცოლი კი - მხოლოდ 6 შილინგი. ამდენად, ქალის უმწიკვლობა საბაზრო საქონლის ფასადღე დაეცა, რომელიც შედარებით მწირი ღირებულებას იყო. ასეთ პირობებში ადვილად გაიღვა ფესვები ჩვეულებრივმა მეძავობამ. მისი ერთ-ერთი ფორმა კი მეტად არახანგრძლივი დროებითი შეუღლების ინსტიტუტის დამკვიდრება გახდა. არსებობდა აგრეთვე საკუთარი ცოლების დროებითი გაქონების წესიც, რაც პირველყოფილი მამაკაცისთვის ქალის, როგორც ნივთის აღქმას ცხადყოფს, ხოლო მისი უფასო დალატი - ევრონიკურ მარალს ნიშნავდა, რაც დიდი რისხვის მიზეზი ხდებოდა. ეგვიპტის პირველმშენებელ სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. ამ წესიდან შემდგომ წარმოიშვა სტუმარ-მასპინძლობითი პროსტიტუცია, რომელიც საკმაოდ ფართოდ გავრცელებულია როგორც სამხრეთში, ასევე ჩრდილოეთში...

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ (გაბრძალობა იმეხა)



კიდევ ერთი ლაგაზი კუთხე დადასტურდა

თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, გლდანის რაიონში, სარაჯივილის გამზინზე არსებული 2,5-კილომეტრიანი შუა ზოლის, გამწვანებული კუნძულების და სარაჯივილის სკვერის, ასევე ლიბანის ქუჩაზე არსებული სკვერის რეაბილიტაცია დაასრულა.

სარაჯივილის გამზინზე დასრულებული გამწვანების პროექტი დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ მერის მოადგილე ანდროა მასილიასთან ერთად დაათვალიერა.

სარაჯივილის გამზინზე არსებულ შუა ზოლში, რომლის ფართობიც 25 000 კვადრატულ მეტრს შეადგენს, მოეწყობა საველოსიპედო და საფეხმავლო მილიკები, საბავშვო და სპორტული მოედნები, დამცავი ღობე, გარეგანათების და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები; განთავსდა საპარკე ავ-

ეჯი; ჩატარდა გამწვანებისთვის საჭირო ყველა ღონისძიება: დაირგო 5 104 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი და 15 668 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა და დაიგო მალახი.

გარდა ამისა, აღნიშნული შუა ზოლისა და ლიბანის ქუჩის მიმდებარედ მოეწყობა ახალი გზაგამყოფი გამწვანებული კუნძულები, სადაც დაირგო 174 ძირი ნერგი და 1 983 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა მალახი.

სარაჯივილის სკვერში, რომლის ფართობიც 6 000 კვადრატული მეტრია, მოეწყობა საფეხმავლო მილიკები, გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები და განთავსდა საპარკო ავეჯი. აქაც, რასაკვირველია დაირგო 584 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი და 3 804 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა მალახი.

რაც შეეხება ლიბანის სკვერს, 21 000 კვადრატულ მეტრზე განახლდა საფეხმავლო მილიკები, დამატებით მოეწყობა ველობილიკი, გარე განათებისა და ვიდეომეთვალყურეობის სისტემები, სასმელი წყლის სოკო, მოსასვენებელი პავილიონი, საბავშვო და სპორტული მოედნები, სკეიტ პარკი, ასევე განთავსდა საპარკო ინვენტარი, დაირგო 1 600 ძირი სხვადასხვა სახეობის ნერგი, ხოლო 15 121 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა და დაიგო მალახი.

გემთ ჩამოთვლილი პროექტების ფარგლებში, 52 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე, 7 462 ძირი ნერგი დაირგო, ხოლო 36 576 კვადრატულ მეტრ ფართობზე დაითესა და დაიგო მალახის საფარი. აღნიშნული პროექტების ღირებულება 8 მლნ ლარს შეადგენს.

გიორგი ჭყონდიდელის სახელობის რეკონსტრუქციის სივრცე რუსთაველი



მშპნი ქალაქის კონცეფციის ფარგლებში, რუსთაველი, ჭყონდიდელის დასახლებაში, ახალი მულტიფუნქციური რეკონსტრუქციის სივრცე მოეწყობა.

რუსთაველი მერმა ნინო ლაცაბიძემ, რეგიონალური ქუჩაზე ახალი მულტიფუნქციური სკვერი, სასულიერო პირებთან, ქალაქის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნე-

ვის“ წევრებთან და მოსახლეობასთან ერთად გახსნა. ახალ საზოგადოებრივ სივრცეში, ანიმატორების შოუ, ჯგუფ „არტ ლაიფისა“ და ელექტრონული მუსიკის კონცერტი გაიმართა.

რეკონსტრუქციის ქუჩის მიმდებარედ, 20 ათას კვადრატულ მეტრ ფართობზე, სპორტული და საბავშვო მოედნები, საფეხმავლო და ველობილიკები, გარე განათება, სარწყავი სისტემა, მწვანე სივრცეები, დასასვენებელი ზონები, სკეიტ-პარკი, ასევე, გრანდის ქუჩაზე ჩასასვლელი კიბე მოეწყობა და 333 სხვადასხვა სახეობის ხე-მცენარე დაირგა. პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე განხორციელდა. ჭყონდიდელის დასახლებაში, დღემდე მსგავსი მასშტაბის დასასვენებელი სივრცე არ არსებობდა. ინფრასტრუქტურული პროექტი, ცენტრალური და ადგილობრივი მიუჯეტებიდან 1 621 701 ლარით დაფინანსდა.

მწვანე ქალაქის კონცეფციის ფარგლებში, რუსთაველი, კლდისაშვილის ქუჩაზე მრავალფუნქციური სკვერის რეაბილიტაცია დასრულების ფაზაშია, ახალი საზოგადოებრივი სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს 21-ე მიკრორაიონში, ამასთან ერთად, ქალაქის შემოსასვლელში 70 000 კვადრატულ მეტრ ფართობზე მასშტაბური რეკონსტრუქციის მონაწილეობა. 2022-2023 წლებში, რუსთაველი, ახალი საზოგადოებრივი სივრცეები, ჯამში 80 000-ზე მეტ კვადრატულ მეტრ ფართობზე მოეწყობა.

ბანახლეული სასოფლო გზები რაჭაში

ამგროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ. სადმელში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში ხორციელდება, – ამის შესახებ ინფორმაციას ამგროლაურის მერია ავრცელებს. მიმდინარე სამუშაოები ამგროლაურის მუნიციპალიტეტის მერმა გვიად მხეიძემ, პირველმა მოადგილემ დავით გოგლიძემ, დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა გიორგი მახათაძემ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერეს. გარდამავალი პროექტის ფარგლებში 3 კმ-დე მონაკვეთზე მეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება, მისი სრული ღირებულება 3 264 000 ლარს შეადგენს, სამუშაოები სამ ეტაპად ხორციელდება. მიმდინარე წელს გზის რეაბილიტაციაზე ს 1 100 000 ლარი დაიხარჯება. სამუშაოები სრულად 2024 წელს დასრულდება.




უკრაინის განაღმვას საუკუნეები დასჭირდება

თბილისი წელიწად-ნახევრის განმავლობაში უკრაინის ტერიტორიაზე იმ რაოდენობით ნაღმებია ჩაფლული, რომ მთელს ურუგვას დაფარავდა. ამის შესახებ საუბარია The Washington Post-ის სტატიის, რომელშიც ექსპერტები გამოთქამენ შემამოფთოებელ ვარაუდს – უკრაინის სრულად განაღმვას საუკუნეები და მილიონობით დოლარი დასჭირდება.

სტატიაში აღნიშნულია, რომ რუსებმა, კონტრპეტევის მოლოდინში, ფრონტის ხაზი ინტენსიურად დანადგმეს და თან, აქტიურად იყენებდნენ ქვეთსაწინააღმდეგო ნაღმებს. როგორც გამოძიების შედეგად დადგინდა, რუსმა სამხედროებმა სულ მცირე 13 სახეობის ქვეთსაწინააღმდეგო ნაღმი და ასევე, ხაფანგი ნაღმები გამოიყენეს.

ამასთან, სტატიაში მოყვანილია ანალიტიკური ცენტრის GLOBSEC ანგარიში, რომლის მიხედვითაც, უკრაინის 30%, რაც 107 ათას კვადრატულ კილომეტრზე მეტია, ასაფეთქებელი ნივთიერებებით არის დაზინძურებული.

„ეს, აღემატება მსოფლიოს ყველაზე დანადგმული სახელმწიფოების, ავღანეთის და სირიის მაჩვენებელს“, – აღნიშნულია სტატიაში. GLOBSEC-ის შეფასებით, ერთ განაღმველს დღეში 15-დან 25 კვადრატულ მეტრამდე ტერიტორიის გაწმენდა შეუძლია, რაც რელიეფსა და ასაფეთქებელი ნივთიერებების კონცენტრაციაზე დამოკიდებულია.



„უკრაინის დაზინძურებული ტერიტორია კი იმდენად დიდია, რომ ზოგიერთი ექსპერტის ვარაუდით, 500-კაციანი ჯგუფის მუშაობას 757 წელი დასჭირდება“, – წერს Washington Post.

სტატიაში ასევე აღნიშნულია, რომ განაღმვის პროცესი არა მხოლოდ წელი, არამედ ძვირად ღირებულია.


„მსოფლიო ბანკის შეფასებით, უკრაინის განაღმვა კვადრატულ მეტრზე 2-დან 8 დოლარამდე ღირს და მომდევნო 10 წლის განმავლობაში დაახლოებით 37.4 მილიარდი დოლარი დაჯდება. მხოლოდ წელს, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკრაინას 95 მილიონი დოლარი გამოუყო ნაღმებისგან ტერიტორიის გასაწმენდად“, – აღნიშნულია სტატიაში.

უკრაინის დანაღმვამ უკვე არაერთი ტრაგიკული შემთხვევა გამოიწვია მშვიდობიან მოსახლეობაში. რუსეთის სრულმასშტაბიანი შემოჭრის დაწყებიდან, 2022 წლის 24 თებერვლიდან 2023 წლის ილისამდე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ასაფეთქებელი მოწყობილობებით მშვიდობიანი მოქალაქეების დაღუპვის 298 შემთხვევა აღრიცხა, რომელთა შორისაც, 22 დაღუპული ბავშვია. იგივე მიზეზით დაშავდა 632 მოქალაქე. ხოლო საერთაშორისო განაღმვითა ორგანიზაციამ HALO Trust 2300-ზე მეტი ინციდენტი აღრიცხა, რა დროსაც აღმოაჩინეს ისეთი ტიპის სამრევლო მასალა, რომელიც ნეიტრალიზებას საჭიროებს. ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ეს მაჩვენებლები რეალობასთან შედარებით, გაცილებით მსუბუქ სურათს აღწერს.

ბაიონი ხუმრობის ხასიათზე

მე პარ ხელოვნური ინტელექტი. რომელიმე თქვენგანი თუ ფიქრობს, რომ მე ლინკოლინი ვარ, ხელოვნურ ინტელექტს დაამარაღეთ, – ასე იხუმრა აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ხელოვნურ ინტელექტზე მომუშავე შვიდი კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

აშშ-ის ლიდერმა გამოაცხადა, რომ შეიძლება ტექნოლოგიურმა კომპანიამ საკუთარ თავზე აიღო ნებავიწოდებით ვალდებულება ხელოვნური ინტელექტის უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. კერძოდ, დაპირებებს შორის არის ხელოვნური ინტელექტის მიერ შექმნილი მასალების მონიშვნის ვალდებულება. ასევე, კომპანიებში პირობას დებენ, რომ ახალი სისტემების გამოშვებამდე მათი დეტალური ტესტირება მოხდება.




პირველად აშშ-ის ისტორიაში

აშშ-ის ისტორიაში პირველად, ქვეყნის პრეზიდენტმა აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების ხელმძღვანელად ქალი წარადგინა. ჯო ბაიდენმა არჩევანი ადმირალ ლიზა ფრანჩეტოზე შეაჩერა.

ჯო ბაიდენის მიერ წარდგენილი კანდიდატურა აშშ-ის სენატმა უნდა დაამტკიცოს. დამტკიცების შემთხვევაში, ლიზა ფრანჩეტო იქნება პირველი ქალი, რომელიც გახდება უფროსი სამხედრო ოფიცრების ელიტარული ჯგუფის წევრი, რომლებიც ქმნიან გაერთიანებულ შტაბს. ლიზა ფრანჩეტო არის აშშ-ის მე-9 ფლოტისა და აშშ-ის საზღვაო ძალების ყოფილი მეთაური სამხრეთ კორეაში, ასევე მსახურობდა ავიამხედრო ძალების მეთაურად. ის წარუდგინა, რომელმაც მიიღწია ოთხჯანსკვლავიანი ადმირალის წოდებას. ამერიკულ მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ადმირალი ფრანჩეტო არ იყო აშშ-ის თავდაცვის მდივნის, ლოიდ ოსტინის პირველი არჩევანი, რომელიც, მის ნაცვლად, „თოფგანის“ კურსდამთავრებულს, სამუელ პაპაროს კანდიდატურას უჭერდა მხარს.





ჰამლაზ ჭიკაშვილი:

ოსრულ დაგვიჩება ევროკავშირი და ნატო, ყური ღროზა თუ არ გამოვიბარებთ!

– ბატონო ჰამლაზ, კონფლიქტი რუსეთსა და უკრაინას შორის თქვენი აზრითაა მხოლოდ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტია თუ სცდება ამ ფარგლებს?

– რუსეთის წინააღმდეგ აშშ მრავალი წლის განმავლობაში ქსოვდა ბადებს და როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მკვეთრი მოქმედებები დაიწყო რუსეთის გაძლიერების მიმართულებით, აშშ-მა ჩამოიღო მტკვარიანი თაროებიდან ანტირუსული გეგმების დასტა, რომელიც შემუშავებული ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ და შეუდგა ამ გეგმების განხორციელებას. გლობალიზაციის ხომ დაამტკიცეს სამტოვაკაციო, ახლა საჭირო იყო რუსეთის დაშლა და ამერიკამ დაიწყო ფიქრი, რომ უკვე დრო იყო და უნდა დასდგომოდნენ კონკრეტულ გზას, რომ რუსეთი დაეშალათ.

– პირდაპირ ამერიკას ადგებ ხელს?
– დიახ, რადგან კოლექტიური დასავლეთი არის აშშ-ის მონა და ასრულებს იმ დაავლებებს, რასაც უზრუნველს ვაშინგტონი.

– კიდევ ერთხელ ავხსნათ: რა საუკუნოვანი დაპირისპირება აშშ-სა და რუსეთს შორის ასეთი და რის გამო მიმდინარეობს დაუსრულებელი წინააღმდეგობები ამ ორ სუბერსახელმწიფოს შორის.

– რუსეთი დიდი და ძლიერი ქვეყანაა, მდიდარია წიაღისეულით, ენერგომატარებელია, მუნიციპალიტეტის რესურსებით და ა.შ. და ა.შ. ეს ყველაფერი ამოწურულია როგორც აშშ-ში, ისე ევროპის ქვეყნებში და ესაჭიროებათ ძლიერი ინფრასტრუქტურა და სტრატეგიული უკრაინის, როგორც სატელიტი ქვეყნის ჩამოშორება რუსეთისგან. მოგეხსენებათ, უკრაინის ეკონომიკა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა მთლიანად იყო გადაჯაჭვული რუსეთზე. 30 წლის განმავლობაში იმუშავეს ამერიკელებმა და ისედაც ფაშობისკენ მიდრეკილმა უკრაინელებმა – მანდრელებმა, შუხევიანის შთამომავლებმა და მათმა ამერიკაში, კანადასა და სხვა ქვეყნებში გაზრდილ-დაფორტიანებულმა მოღალატე უკრაინელების შვილებმა და შვილიშვილებმა და ატრიალეს ის, რაც ხდებოდა დღეს უკრაინაში. აღარ ჩამოვთვლი უკრაინის სახელმწიფოში ჩანერგილ ევროამერიკელებს, იგივე უკრაინის ჯანდაცვის ამერიკელი მინისტრ ქალბატონს, რომელსაც უკრაინელები „სიკვდილის ფორმულა“ ეძახდნენ, იუმჩენკოს მეუღლეს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილ თანამშრომელს და სხვებს, უკრაინაში მოხდა ე.წ. მაინდის რეგულაცია, რომლის განხორციელებისთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, ოფიციალური მონაცემებით, 5 მლრდ დოლარი იქნა გამოყოფილი, არაერთი მილიარდი დაინარჯა სხვადასხვა ფონდებიდან უკრაინაში ფაშობის რეინიციაციისთვის და იმ გეგმების განხორციელებლად, რაც დაუსახეს უკრაინას და რისი განხორციელების მიზანიც აქვს აშშ-ს – უკრაინის გავლით მოახერხონ რუსეთის დაშლა-დანაწევრება.

– ამ დღეებში ნატოს სამიტი გაიმართა ვილნიუსში. უკრაინის პრეზიდენტმა ისევ ვერ მიიღო ის, რასაც ელოდა და რასაც შესწინა, ფაქტობრივად, ქვეყანა.

– მაიდანმა ჯერ კიდევ სამიტის დაწყებამდე, დიდ ბრიტანეთში გამგზავრების წინ, განაცხადა: უკრაინა ჯერ არ არის იმ დონეზე, რომ გახდეს ნატოს წევრი და ასევე მოხდა. უკრაინას არავინ არ მიიღებს ნატოში, სანამ ეს კონფლიქტი არ დასრულდება, რადგან უკრაინის ნატოში მიღება ნიშნავს ნატოს წევრი ქვეყნების ჩართვას უკრაინაში მიმდინარე საომარ კონფლიქტში, ეს კი ჩვეულებრივი ომი არ იქნება, ის აუცილებლად გადაიზარდება მორთულ კონფლიქტში, რაც კატასტროფით დასრულდება მთელი მსოფლიოსთვის. მოკლედ, არ ჩაახრება საომარი მდგომარეობა მანამ, სანამ უკრაინის დღევანდელი ხელისუფლება იქნება უკრაინის სათავეში.

– თქვენ ფიქრობთ, რომ სანამ ეს კონფლიქტი რაიმე სახით დამთავრდება, შეიძლება გე-

ლენსი გადადგეს ან გადაყენონ?

– არის ბევრი რამ უკრაინის ხელისუფლების მხრიდან, რაც აღიზიანებს დასავლეთს და აშშ-ს, მაგრამ ყველაფერი მაინც დამოკიდებულია იმაზე, რამდენად გაიწელება საომარი პროცესი, მით უფრო, რომ აშშ-ს აწყობს ამ კონფლიქტის

გაჭიანურება რუსეთის დასასუსტებლად.

– გაჩნდა ინფორმაცია, რომ კონფლიქტში შეიძლება ჩაერთოს პოლონეთი და ბალტიის ქვეყნებიც.

– შიშობების დონეზე ყველაფერი შეიძლება, მაგრამ არ მგონია, ნატოს წევრი ამ ქვეყნების საომარ კონფლიქტს აშშ დაეთანხმოს. აშშ თანახმა იქნება გაიწელოს ეს ომი, თუნდაც ბოლო უკრაინელამდე, რუსეთის დაძაბუნებით, ისე, რომ თვით აშშ-ს არ მიადგეს ზიანი.

– ამ დროს რუსეთში პოლიტიკური კრიზისია.

– ნუ გააზვიადებთ, არავითარი პოლიტიკური კრიზისი რუსეთში არ არის, პოლიტიკური კრიზისი დღესაც არ არის, უკრაინაში არ არსებობს მთავარი პრიორიტეტის გაფართოება. მოდი, განვიხილოთ ეს სიტუაცია: „ვატენში“ არის, დაახლოებით, 5000 მემბროლი, პრიგოჟინს, როგორც ვიცით, არ აქვს კარგი დამოკიდებულება რუსეთის თავდაცვის მინისტრთან და გენერალიტეტთან და ეს ვიწრო, პირადი უკმაყოფილება აისახა მის დაუფიქრებელ მოქმედებაში.

– ანუ რუსეთის პრეზიდენტს, როგორც უკრაინის პრეზიდენტზე ვივარაუდებთ, შეეცალა არ ეშუქრება...

– ასეც რომ იყოს, პრიგოჟინი და მისინარები ამას ვერ მოახერხებენ, უკრაინაში არ არსებობს ოპოზიცია, რომელიც ამას მოახერხებს, იქ არის ერთადერთი ძლიერი ოპოზიციური ძალა – კომუნისტური პარტია, რომელიც პოლიტიკურ ამინდს ვერ ქმნის ქვეყანაში, რჩება ოლიგარქიატი, რომელიც პუტინმა ისე მოათვინიერა, რომ ისინი უკრაინის ფარგლებს ვერ სცლიდებიან, რუსეთის ეკონომიკა ლიბერალურია და დასავლური პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციები, თითქოს, რუსეთში არსებობდეს პოლიტიკური ძალები, რომლებიც შეეცავენ რუსეთს არაბრუნდეს უკრაინის სახელმწიფოში არაბრუნდეს უკრაინის სახელმწიფოში.



საერთოდ, ბოლიში და, ფიხაბაჰა ჰაიბი გელანსკის მიზა, მასან და სხვადას, ალექსანდრე ის, რომ საქართველო არ გახსნა გიორგი შრონი რუსეთის წინააღმდეგ, არ დაუწესა რუსეთს ეკონომიკური სანქციები, ამის გამო, რომ გაქსიმა ურალს უკრაინის პრეზიდენტის, ნიხილი დაჭირეს საქართველოს.

წილი თვლის, რომ ევროკავშირში მივიღებენ...

პოლიტოლოგ ჰამლაზ ჭიკაშვილს კი მეტად პესიმისტური პროგნოზები აქვს. ის მიიჩნევს, რომ საქართველო ევროკავშირსა და ნატოში ვერასდროს გაწევრიანდება. თუ რა არგუმენტებით ასახულებს თავის ამ მოსაზრებას, გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ ჰამლაზ ჭიკაშვილთან.



ქატონ და მთ სურთ პუტინის ჩამოგდება, არის თითქმის გამოწვეული – ასეთი რეალობა ვერც იანსეგმებს, რადგან ამის საშუალება არ არის. შეადარეთ,

და გადადგას. არ აქვს მნიშვნელობა, მეგობარია უკრაინა, ძმა თუ ნათესავი. როცა ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე მიდის შენი „მეგობარი“, შენაც ასევე „მეგობრულად“ უნდა გამგზავრო ქვეყნიდან უკრაინის დესპანი და უკრაინაში საელჩოს დონე დაიყვანო მესამე მდივნის დონემდე.

– ანუ?
– ყველაზე დიდი რანგი უცხოურ წარმომადგენლობაში გახლავთ ელჩი, შემდეგი საფეხური არის დესპანი, მერე მრჩვეველი, ამას მოსდევს პირველი მდივანი, მეორე და მესამე. აი, ამ ყველაზე დაბალ რანგამდე უნდა ჩამოიყვანოს საქართველო უკრაინაში დიპლომატიური წარმომადგენლობა, რადგან უკრაინა არ იმსახურებს არავითარ სიმპატიას – მან იკადრა და ელჩი გამოვივლო ქვეყნიდან.

– ბატონო ჰამლაზ, საქართველო 12-პუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესშია, რას ფიქრობთ, ბოლოს და ბოლოს მივიღებთ წევრობის კანდიდატის სტატუსს? ვაქვს ამის პერსპექტივა?

– არავითარი პერსპექტივა არ არსებობს. რასაც გვეუბნებიან, ეს არის, ელემენტარულად, ტყუილი და მე ვურჩევდი როგორც პოლიტიკოსებს, ისე საზოგადოებას, ნუ იტყუებენ თავს. საქართველოს არავინ არ გააწევრებს ევროკავშირში იმიტომ, რომ საქართველო არის თავსატეხი ქვეყანა. რა არის ეს 12-პუნქტიანი ვითომ შეთანხმება, რომელშიც რა წერია, კაცობრივად არ იცის და ვერც გაიგებს?

ყველას გვახსოვს, მიგვალმინეს კანონი ტოლერანტობისთან დაკავშირებით, იგივე ანტიდისკრიმინაციული კანონი. ჩვენ ტამისკვით მივიღეთ ეს კანონი და რა გამოვიდა? მივიღეთ ე.წ. პრაიდი.

უკრაინას ეს სტატუსი მისცეს ავანსად, მაგრამ დაავალეს, რომ შეესრულებინა 12-პუნქტიანი დავალება იმის მიუხედავად, რომ ის ომშია ჩამბული, ანუ უნდა დააკანონოს უკრაინაში ერთმანეთს დაეპირისპირებოდნენ, გვიპარადები, პრაიდები, სქესის შეცვლის ოპერაციები და ა.შ... ჩვენ ყველაფერი ეს წინ გვაქვს, თუკი თავს გამოვიდგებოდა და შევასრულებთ ამ 12 პუნქტს, მაგრამ აქ არაფერ შუაშია სასამართლო რეფორმა და სხვა რამეები, მთავარია, ტოლერანტული ვიყოთ მამამთავლობასთან, დედათმამთავლობასთან, ცხოველმამთავლობასთან და ა.შ. ეს არის აშშ-ის პირდაპირი მოთხოვნა. ევროკავშირის ქვეყნებს ზეწოლით მივალმინეს ეს კანონები.

მოკლედ, პერსპექტივაში გველოდება ის, რაც ერთ უცნობს ვუთხარი ჩემი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს: მოსალოდნელია ქართველ მამაკაცებს „კოლგოტკები“ ჩაგაცვან-მეთქი, იმ უცნობმა დარეკა და თქვა: ნუ გვაშინებთ, მე არ ჩავიცვამო. თქვენ და მე შეიძლება არ ჩავიცვათ, მაგრამ ხალხი ჩაიცვამს-მეთქი, ვუთხარი და ასევე მოხდა – ყველამ დაინახეთ, რაც მოხდა ამ დღეებში ლისის ტბაზე. ეს არ იყო გაპრანჭული კაცების ცეკვა-თამაში, ეს არის პირდაპირი შეტევა ერზე, რომელიც, გვეროს მონაცემებით, მომავალში ენერჯის რიგებშია.

დაუნდობელ მძძოლაში ვართ. აქ ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და არა ევროკავშირი და ნატო, რომელიც ოხრად დაგვრჩება, ყური დროზე თუ არ გამოვიგონოთ.

ესაუბრა ირანდა კალანდაძე

⊙ ასე იყო, ასე არის...



გაბრძელება აუსილებლად იქნება!

30წლიანი რესპუბლიკის თანატოლ ჩვენს გაბრძელებას სპორტული მემკვიდრის პატივს ხელა წილად და ამ საპატიო მისიას აგერ უკვე 105 წელია წარმატებით ართმევს თავს.

არ დაჩინებულა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენა, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს პირში „შეგარდნიდან“ მოყოლებული, საუკუნეგადამეზღველი ეროვნული პრესის ფლაგმანი პროფესიული სინდისის კანონებით რომ არ გამოხსაურებოდა. აქ იგულისხმება როგორც უმაღლესი რანგის საერთაშორისო ტურნირებში თანამემამულე ათლეტთა საამაყო მიღწევები, ისე ასპარეზს მიღმა დაღვრილი მანკიერებანიც.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ წამყვანი საპატიო გამოცემის ფურცლებზე დამკვიდრებული საჭადრაკო ჩანართი თუ ოლიმპიური მოძრაობისადმი მიძღვნილი დამატება, ტრადიციისამებრ, მკითხველის უდიდეს დაინტერესებას რომ იწვევდა.

არ ვიქნებით მართალნი, საიუბილეო ნომერში კალმოსანთა და ფოტორეპორტიორთა ძველ გვარდასაც თუ არ ვახსენებთ, რომელთა უმეტესობამაც უბრუნებელ „ლელოში“ დაწყებული მოღვაწეობა ოფიციალურ ორგანოში განაგრძო. აი, კოლეგიალობისა და თანამშრომლობის მისაბაძი მაგალითი.

ალარაფერს ვამბობთ სასიქადულო მამულიშვილთა ავტორობით ჩვენთან დაბეჭდილ ძარღვიან პუბლიკაციებზე, დღემდე რომ არ დაუკარგავს აქტუალობა.

გაგრძელება აუცილებლად იქნება!..

ერთადერთი ქართველი მწვრთნელი, ვინც ჩვენი ქვეყნის გუნდი ევროპის ლიგის ჯგუფურ რაუნდში გაიყვანა 2004 წელს (თბილისის „დინამო“), შიპა გიგუჩაძე გახლავთ, ამიტომ კონფერენსიის პირველი ეტაპის სასტარტო მატჩის სტუმრად ფრედ – 1:1 დასრულების შემდეგ ვიმედოვნებდით, რომ მისი თავდაცვითი მათემიე წარმატებით დაძლედა საწყის წინაღობას, მაგრამ...

აჭარბებით არენაზე განვითარებული მოვლენები ნათელი დადასტურება იმისა, რომ ბრძოლის დაწყებამდე გამოჩენილი ფავორიტის სტატუსი მხოლოდ პირობითი მცნება და არანაირად არ წარმოადგენს საბოლოო წარმატების გარანტიას.

დაიხ, ალბანურ ტირანას ერთი კვირის წინათ მშვენივრად შეუსწავლია მეტოქე და ღირსეულად გამოვიდა აღნიშნულ წყვილში გამარჯვებული – 2:1. მეტიც – ამ კლუბმა სამი სეზონის წინათ თბილისის დინამოც დააჩოქა, ასე რომ მომხდარს ვერაფრით ვუწოდებთ შემთხვევითობას.

რაც შეეხება მოქმედ ჩემპიონს, იგი ასეთივე ანგარიშით დაემშვიდობა ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირს და კონფერენსლიგაში დაქვეითდა. მართებულად შენიშნა ასტანასთან სამინაო კრახის შემდეგ თეთრლურჯთა დამრიგებელმა გიორგი ჭიამშივილიმა – გამარჯვებულის ფსიქოლოგია გვაკლიაო, რადგან ყაზახურ კლუბთან მეცხრე დუელიდან უკვე მერვეში(!) შევრცხვით, აღმოჩენის ავტორს კი ვკითხავთ: – მერედა, ვინ გიშლით ხელს ფსიქოლოგის აყვანაში?

კრისტალზეთ ეროვნული ლიგის ბოლოა ტრადიციული ფიასკოს ფონზე მო-

ნერვოტურნირები



გაორჯული ბრძოლით

ულოდნელად გაგვახარეს გორის დილამ და ქუთაისის ტორპედომ.

შიდაქართლებმა გადაჭარბებით შეასრულეს სარეგულაციო ვალდებულება სლოვაკურ ღუნაისკა სტრედასთან – 2:0 (1:2), ხოლო რიონისპირელებმა ბოსნიაში ძირითადი დროის ბოლო წუთზე გადაარჩინეს თითქმის წაგებული მატჩი სარაევოსთან –

1:1 (2:2) და მიზანს პენალტების სერიაში მაღაჩიეს – 4:2. ბუნებრივია, ქობულთაგან მადლიერება ორივემ დაიმსახურა და მათ მილოცვეს ჩვენც ვუერთდებით.

კონფერენსიის მეორე ეტაპი: დინამო – ჰამრუნ სპარტანსი (მალტა), დილა – ვორსკლა (პოლტავა, უკრაინა) და ტორპედო – აქტობე (ყაზახეთი).

⊙ ოქანის გაღვა



გოლით ღაინყო

გედინონი არიან ფლორიდლები, თუნდაც საპენსიო ასაკის ლეო მესის დიდოსტატობით რომ დატკვებინან.

დაიხ, საკუთარი კონფერენციის აუტსაიდერ მაიამის ინტერის გენიალური ახალწვეულის პარამეტრები არანაირ ამქვეყნიურ გამოწვევას არ ექვემდებარება და ისეთ შეგრძნებას გვიტოვებს, რომ არგენტინელი ჯადოქარი სამარის კარამდე დადგამს დაუვიწყარ საფეხურთო სპექტაკლს.

რაც შეეხება ამერიკული კარიერის დებიუტს, მესი 54-ე წუთზე შევიდა მინდორზე ლიგის თასის მატჩში მექსიკური კრუზ ასულის წინააღმდეგ და მსაჯის მიერ დამატებულ მე-4 წუთზე ჩვეული მკვლელი საჭარნიშოთი გამარჯვების გოლი გაიტანა – 2:1.

ასევე შესვენების შემდეგ ჩაება ბრძოლაში სერხიო ბუსკეტსი, ხოლო კიდევ ერთ მარსელონელ ხორდი ალბას ამჯერად არ უთამაშა.

⊙ ზრახილიდან აჭარაზე

სასიკეთო პროექტი

უკვე რამდენიმე სტატია მივუძღვევით კულტურული და საქმიანი თანამშრომლობის საერთაშორისო ასოციაციის „არგენტინის სახლი საქართველოში“ თავმჯდომარის ნიკოლოზ პატარქალიშვილის პროექტს, რომელიც მიზნად ისახავს ინვესტიციების მოზიდვას აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და სამხრეთკავკასიური მხარის მიერ სოლიდური წვლილის შეტანას ზღვისპირეთში სოფლის მეურნეობისა და ტურნიზმის განვითარებაში, ასევე სხვადასხვა სახის საწარმოებისა და ბრანზილიური სავაჭრო ცენტრების შექმნაში.

აღნიშნული წამოწყება რომ ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის პოპულარიზაციას ამერიკის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოს შიგნით, კიდევ ერთხელ დაგვარწმუნებთ ბრანზილიური ტელევიზიის „მსოფლიო სპორტის“ გენერალური დირექტორის მარკოს დავი სილვა მარალი დე კარვალის მიერ აჭარის ლიდერ თორნიკე რიფუაძისადმი გამოგზავნილი წერილი.

ჩვენ მზადყოფნას გამოვთქვამთ საქართველოში გეგმიით არგენტინის ფირმის „იკიეს“-ის მფლობელ ლუსიო მერნასკონთან და არგენტინის რესპუბლიკის კორპორატიული ბანკის ლიდერ ლუსიო ოსკარ რამირესთან ერთად. მათი მონაწილეობით ჩვენ გადავიღებთ შეხვედრებს, რაც ეხება აჭარაში ეკონომიკის განვითარებას, მის პოპულარიზაციასა და ქართული ფეხბურთის აღორძინებას. რაც შეეხება ფეხბურთს, ბრანზილიაში დღემდე ახსოვთ მიხეილ მესხისა და სლავა მეტრეველის სახელები, რომლებიც იყავდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდის ლიდერებს. 1966 წელს, სსრკ-სა და ბრანზილიის ნაკრებ გუნდებს შორის გამართულ ამხანაგურ თამაშში, რომელიც გაიმართა „მარაკანას“ სტადიონზე, ამ ორმა ფეხბურთელმა თავიანთი მაღალი კლასით გააოცეს ბრანზილიელი ფეხბურთელები და თვით პელებე.

შეგახსენებთ, რომ 2019 წლის 24 დეკემბერს, თბილისში, სკაიპის საშუალებით ჩავერთეთ და საუბარი გავმართეთ ლილი ვეკუასთან, რომელიც წარმოადგენდა თქვენი ტურიზმის დეპარტამენტს. აღნიშნული შეხვედრა ორგანიზებული იყო ნიკოლოზ პატარქალიშვილის მიერ, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში, თბილისში, რომელზეც დავადასტურეთ ჩვენი მზადყოფნა სარეკლამო ფილმის გადაღების თაობაზე – მათუმი. რომელიც, რომ არა პანდემია, ჩვენ აქამდე უკვე გადაღებული გვექნებოდა თქვენი მხარდაჭერით.

ამჟამად ბრანზილიაში 230 მილიონზე მეტი ადამიანი ცხოვრობს. აქედან ჩვენს მარანიანის შტატში ცხოვრობს 7 მილიონზე მეტი ადამიანი. ჩვენი თანამემამულეები შორეული მოგზაურობების მოყვარულნი არიან, მაგრამ ძალიან მწირ ინფორმაციას ფლობენ საქართველოს შესახებ. როგორც კი შევძლებთ სარეკლამო ფილმის გადაღებას ნიკოლოზ პატარქალიშვილის პროექტის მიხედვით, აღნიშნული ხელს შეუწყობს ბრანზილიასა და საქართველოს შორის ტურიზმის განვითარებას და როგორც ზაფხულში, ასევე

მთელი წლის განმავლობაში ეწვევიან ბრანზილიელი ტურისტები აჭარას.

ჩვენი პროგრამა გადაიცემა ყოველ კვირას და ურთიერთთანამშრომლობით შევძლებთ, მივალწიოთ კარგ შედეგებს. აღნიშნული სარეკლამო ფილმი ხელს შეუწყობს ასევე ინვესტიციების მოზიდვას თქვენთვის მეტად საჭირო სფეროების განვითარების საქმეში.


ჩვენ ინფორმირებული ვართ, რომ ნიკოლოზ პატარქალიშვილის მიერ მომზადებული პროექტის განხორციელებას მხარი დაუჭირებს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ და საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრმა და პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელმა ბიძინა ივანიშვილმა. პროექტის შესახებ, აგრეთვე გამოაქვეყნა პუბლიკაციები გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“.

გვსურს, გაცნობოთ, რომ აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის თანამშრომლობა თქვენს ავტონომიურ რესპუბლიკასთან იქნება ყოველგვარი ფულადი ანაზღაურების გარეშე.

გთხოვთ, დანიშნოთ შეხვედრა ჩვენს წარმომადგენელთან ნიკოლოზ პატარქალიშვილთან და გამოგვიგზავნოთ გადაღებების პროგრამა ბათუმსა და სხვა ქალაქებზე. ჩვენი ჩამოსვლა თქვენს რესპუბლიკაში შესაძლებელი იქნება 26 ივლისსა და 12 აგვისტოს შორის, 10-12 დღის განმავლობაში.

„საბარტვილოს რესპუბლიკის“ რედაქცია გადმოგზავნის მოახსენებს ბრანზილიელ კოლეგა-მეგობრებს საბარტვილოთი და კონკრეტულად აჭარის შავიზღვისპირეთით დაინტერესებისთვის. ჩვენ კვლავაც სიამოვნებით გამოვამჯობნებთ საბარტვილოსა და ბრანზილიის, საბარტვილოსა და არგენტინის მეგობრული ურთიერთობების ახსახველ უზუბიკაციებს.

არდავიწყება



მარადიული ხსოვნა გურამ გობიაშვილს!

სიტყვის არა მხოლოდ ღრმა ცოდნით, არამედ ქართული სიტყვების ზარდახში ოქროს მარცვლების აღმოჩენით და საკუთარ შემოქმედებაში, მკითხველთა განსაცვიფრებლად და მოსაჯადოებლად, მათი ხელსაწყოები მიმოფანტვით. რამდენადაც ვიცი, ბატონ გურამ გობიაშვილს კალამი სიცოცხლის ბოლო წუთამდე ხელში მოხერხებულად ეჭირა და რა მნიშვნელობა ჰქონდა ასაკს, ასეთი შემოქმედისთვის ასაკი? – ვის აინტერესებს, ის უნდა ყოფილიყო... მას უფრო დიდხანს უნდა ეცოცხლა.

თითოეული ადამიანის წასვლა ამ ქვეყნიდან, უცნობისა თუ ნაცნობისა, რა თქმა უნდა, საწყენია. ქართველმა ხალხმა ვიციტო ჭირისუფლების თანაგრძობა და მოფერება, მაგრამ რაოდენ გულსტკივილს იწვევს იმ ადამიანის გარდასვლა ზეციურ სამყაროში, რომელსაც ახლოს იცნობ, პატივს მიაგებ, აფასებ და მოულოდნელად გეპულობ, რომ აღარ არის!

ბატონ გურამს მე კი არა, მთელი ლიტერატურული სამყარო იცნობდა შინ თუ გარეთ... მისი თარგმანები, ლიტერატურული წერილები განსაკუთრებით გამოირჩევა ქართული

სამწუხაროდ, მისი წასვლის ამბავი გვიან გავიგე. ჩემი საყვარელი რედაქციის ძვირფასო წარმომადგენლებო, გისამძიმრებთ, ცრემლიანი გრძობებით ვუსამძიმრებ ბატონი გურამის ოჯახს. ღმერთსა თუ ქირში მიგულეთ თქვენთან! მარადიული ხსოვნა ბატონ გურამ გობიაშვილს!

პაგივისცემით, გულნარა სტურუა

სულთათნა



გურამ ბერიკაშვილი-ყარაჩოხელი კასი, რომელმაც სიყვარულით ისხოპრა

ძნელია, წარმოიდგინო გურამ ბერიკაშვილის (მარაჩოხელი) გარეშე გურჯაანის ნაყინი, ველისციხე, გურჯაანი, კახეთი და სრულიად საქართველო.

დიდი ადამიანი, ღირსეული პიროვნება და გულანთებული მამა დააკლდა ჩვენს საზოგადოებას, რაიონს, მხარეს, ქვეყანას, განსაკუთრებით კი ველისციხეს და ველისციხელებს, სამეგობროს, ოჯახს.

ყველას და ყველაფრის დიდი გულშემატკივარი, ყველაფერზე და ყველაზე მოფიქრალი და გულდამწვარი, საქმეში გულმხურვალე და გულმაგარი, მუდმივად სიყვარულის და მეგობრობის სადარაჯოზე მდგომი, ქართული ტრადიციების, ღირსებისა და ღირებულებების დამცველი, ამოუწურავი ენერჯის და ურყევი რწმენის მატარებელი, მეგობრობაში შეუცვლელი და შეუდარებელი, გაჭირვებულთა ცოდო-მადლის გამკითხავი, ქვშმარიტი მამულიშვილი.

ამ სიყვარულით იცნოვრა და იღვანა ყარაჩოხელმა, ამ სიტყვის გამტოვლებელმა გურამ ბერიკაშვილმა. თვითონაც ყარაჩოხულად იცნოვრა ამ წუთისოველში.

ამოუწურავად შეიძლება ისაუბრო მის კეთილშობილებაზე, სიკეთით ნაკეთებ საქმეებზე, თუმცა გვრჩება დიდი უკმარისობა, რომ რაღაც დაეკვლით, ისე ვერ დაგუდებით გვერდში მის პიროვნებას, როგორც ეკუთვნოდა და იმსახურებდა მისი სიცოცხლის სადარაჯოზე დგომა.

გურამ ბერიკაშვილი-ყარაჩოხელის ამ ქვეყნიდან წასვლით კიდევ ერთი ღირსეული მამულიშვილი დააკლდა ქვეყანას. ნათელში ამყოფოს იმქვეყნიურ საქართველოში მისი ბოქარი, დაუღალავი სული. უმრავლეს ქვეყანას ასეთი ღირსეული, ზნეკეთილი, სულგრძელი შვილები.

გიორგი კანდელაკი, ნოდარ ეძვთიმიშვილი, ზიქინა, დათო, სოსო სონღულაშვილი, გოგი მარხაშვილი, ვანო ბარსევიანიშვილი, ჰამლეთ ყაზარაშვილი, ბია ღვინიაშვილი, ვაჟა კვიციანი, ზაზა შოშიაშვილი

ონკოლოგიური დაავადებების მქონე ბავშვებს უსხოთის კლინიკაში უმკურნალებენ

„სოლიდარობის ფონდის“ ხელმძღვანელის, ევა ფესტინიძის განცხადებით, ონკოლოგიური დაავადებების მქონე 18-წლამდე ბავშვების უსხოთის კლინიკაში მკურნალობისთვის განაცხადების მიღება ჯანდაცვის სამინისტროში 24 ივლისს 09:00 საათიდან დაიწყო.

ევა ფესტინიძემ დეტალურად განმარტა, რა დოკუმენტების წარდგენა იქნება საჭირო ონკოლოგიური დაავადების მქონე ბავშვების სამკურნალოდ უსხოთის გამგზავრებასთან დაკავშირებით.

„დოკუმენტაცია, რაც უნდა ჰქონდეს თითოეულ განმცხადებელს, გულისხმობს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის დამადასტურებელ დოკუმენტს (ფორმა-100), რომელიც უნდა იყოს ინგლისურ ენაზე ნათარგმნი, ასევე ნოტარიულად დამოწმებული ნებისმიერი დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული კვლევები, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, როგორც ბავშვის, ისე განმცხადებლის. იმ სივრცეშივე განმცხადებელს მისცემენ განაცხადის ფორმას, სადაც შეავსებს და ჩა-

აბრებს ჯანდაცვის სამინისტროს“, – განაცხადა ევა ფესტინიძემ. მისივე თქმით, ამის შემდეგ განმცხადებელს დაუკავშირდებიან „სოლიდარობის ფონდის“ წარმომადგენლები და დეტალურ ინფორმაციას მიაწოდებენ ბავშვთა ონკოლოგიის პროგრამასთან დაკავშირებით.

„კერძოდ, იმ არჩევანის შესახებ, რა არჩევანიც აქვთ კლინიკებთან მიმართებით. ყოველ მომდევნო ეტაპზე ინფორმირებული იქნებიან. „სოლიდარობის ფონდის“ წარმომადგენლები პირდაპირ კავშირზე იქნებიან ოჯახთან. ბავშვს აქვს შესაძლებლობა, მიიღოს სერვისი როგორც საქართველოში, ისე უსხოთში. ეს ოჯახის არჩევანზე იქნება დამოკიდებული და ამ გადაწყვეტილებაში მესამე მხარე მონაწილეობს. უსხოთთან მიმართებით, იმ კონკრეტულ კლინიკაში, რომელიც დასახელებულია, ეს არის თურქეთის „ანადოლუს სამედიცინო ცენტრი“, ისრაელის „იხილოვის სამედიცინო ცენტრი“, ესპანეთის „პროტონოთერაპიის ცენტრი“. ამ სამ კლინიკაში იქნება შესაძლებლობა,

გაიაროს დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კურსი იმის მიხედვით, რა დიაგნოზი აქვს კონკრეტულ ბავშვს, რა საჭიროებები აქვს. ასევე, ოჯახის არჩევანსა და კლინიკის შესაძლებლობებზე იქნება დამოკიდებული კონკრეტული კლინიკის არჩევა, სადაც ბავშვი გაემგზავრება. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სერვისპაკეტის სთავაზობს ეს პროგრამა. თურქეთის შემთხვევაში, ოჯახი თუ გადაწყვეტს და თურქეთში მიიღებს სამედიცინო სერვისს, მომსახურების პაკეტში შედის როგორც სრული სამედიცინო სერვისი, ასევე პაციენტისა და ერთი თანმხლები პირისთვის სასტორეზი უზრუნველყოფა. ისრაელსა და ესპანეთში მხოლოდ სამედიცინო სერვისის მიზნითაა და ასევე გაემგზავრებას საქართველოდან უზრუნველყოფს „სოლიდარობის ფონდი“...

მთავრობის გადაწყვეტილებით, ონკოლოგიური დაავადების მქონე ყველა ბავშვს სახელმწიფო დაფინანსებით დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობა თურქეთის, ისრაელისა და ესპანეთის წამყვან კლინიკებშიც ექნება.

იტალია ბავშვების დაბადების მონომოპოლიდან ლისონალი დედაების სახელების ამოღებას იწყებს!

იტალიის პრემიერ-მინისტრ ჯორჯა მელონის მთავრობის მიერ მიღებული ახალი კანონის მიხედვით, ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე ქალაქ პადუაში შვილების დაბადების მოწმობიდან არაბიოლოგიური ლესბოსელი დედების სახელებს დაბადების მოწმობიდან ამოიღებენ, – ამის შესახებ უცხოური მედია იტყობინება.

საუბარია იტალიელი ქალების 33 ბავშვის დაბადების მოწმობაზე, რომლებმაც ხელოვნური განყოფიერება საზღვარგარეთ ჩაიტარეს, ხოლო შემდგომ თავიანთი შვილები პადუას მემარცხენე-ცენტრისტული მთავრობის სერჯო კორდანის ხელმძღვანელობის დროს დაარეგისტრირეს.

როგორც CNN პროკურორებზე დაყრდნობით იტყობინება, 20 ივლისის მდგომარეობით 27 დედის სახელი ამოიღეს დაბადების მოწმობიდან.

„როდესაც იტალიის პრემიერ-მინისტრი ჯორჯა მელონი ქვეყნის ხელისუფლებაში მოვიდა პირობა დადო, რომ დაბადების მოწმობიდან ამოიღებდა „დედა“-ს და „მამა“-ს, მაგრამ მან დაიწყო არ შეასრულა, ნაცვლად ამისა კი, მისმა მთავ-

რობამ ადგილობრივ ხელისუფლებას უბრძანა, შეწყვიტათ ერთი და იმავე სქესის მქონე მშობლების ბავშვების რეგისტრაცია ორივე მშობლის სახელით. ახლა კი დაბადების მოწმობაში შეიძლება მხოლოდ ბიოლოგიური მშობლის აღნიშვნა“, – წერს მედიასაშუალებმა.

ანატრადიციული გავრთიანებებისა და ორიენტაციების მხარდამჭერები აქტიურად ეწინააღმდეგებიან იტალიის ხელისუფლების ქმედებებს, ხოლო თავად იტალიის პრემიერს „ფაშისტს“ უწოდებენ.

„სურთავა იტალიაში არაღვრულია და გვიქონდინება ლეგალიზებული არ არის. იმის გამო, რომ ერთი და იმავე სქესის მქონე წყვილების ურთიერთობები არ არის აღიარებული კანონით, არაბიოლოგიურმა მშობლებმა შეიძლება აყვანისთვის მთავრობას უნდა მიმართოს.

პადუა პირველი ქალაქია იტალიაში, რომელმაც დაბადების მოწმობები გააუქმა, უფლებადამცველი ჯგუფები შემოფოთებულნი არიან, რომ სხვა რეგიონებშიც, იგივე გადაწყვეტილებებს მიიღებენ“, – წერს მედიასაშუალებმა.

წელიწადი 105-ე



საქართველოს რესპუბლიკის 1918-2023

იყიდეთ, გააოიწერეთ, გაღაარჩინეთ 105 წლის გაზეთი!

მხოლოდ და მხოლოდ შენი გონიერების, მონდომების, ყურადღების მაღლია, ძვირფასო მკითხველო, რომ გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ დროის ქართველებს გაუძლო და დაანსებინა 105 წლის იუბილეს უდიდამოდ, მაგრამ მაინც აღნიშნავს!

უდიდამოდ, რადგანაც საზეიმო არაფერი (სრულიად არაფერი!) არ გვაქვს, უსახსრობის გამო ისევ სულს ვღაფავთ, მაგრამ მაინც გვიხარია, რომ ამდენს გავუძელით...

და, რაც მთავარია, იმედს არ ვკარგავთ! სიმართლე გითხნათ, შინაანსობრივად და გარეგნულად გაჭირვების დიდი არაფერი ეტყობა „საქართველოს რესპუბლიკის“ დღევანდელ ნომერს, მისი ფურცლები ისევ სავსეა აქტუალური პუბლიცისტური წერილებით, სერიოზული მიმოხილვებით, კულტურულ-საგანმანათლებლო სტატიებით, პოეზიით, სპორტით, იუმორით და ა. შ.

გაზეთი, რომელიც 1918 წლის 25 ივლისს გამოვიდა, იმთავითვე ჩადგა დამოუკიდებლობადღეინილი, დემოკრატიული საქართველოს ხალხის სამსახურში და ასე განსაზღვრა თავისი მთავარი დანიშნულება:

„ამიერიდან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას ეძევა თავისი ოფიციალური ქართული ორგანო, სადაც განუწყვეტლივ იმეცხველებს მთელი ხალხის საყურადღებოდ და სახელმძღვანელოდ სახელმწიფოებრივი ენა, კანონი და საგარეოაღმოსავლურადაც“

ეს არის ჩვენი მთავრობის მოაგვა „საქართველოს რესპუბლიკა“, რომელიც დღეს პირველად ვვლინებთ საქართველოს ხალხს.

ქართველი ერი დღევანდლაღვე მოკლებული იყო საშუალებას, პირდაპირ მოგვლიერ ენაზე სახსენებოთ ვერძნო და გაეგონა ჩვენი დემოკრატიული სახელმწიფოს უფანაესი ორგანოების ოფიციალური სიტყვა და ნებისყოფა“...

და ამ სახელმწიფოებრივ ქართულ ენაზე „საქართველოს რესპუბლიკა“ 1918-1921 წლებში წარმართავდა ქართველი საზოგადოების, ერისა და მერის ეროვნულ, დემოკრატიულ აზრს, ვიდრე რუსეთმა და ბოლშევიკებმა თავისუფალი საქართველოს ოკუპაცია არ მოახდინეს და დემოკრატიული ქვეყნის შეშინებული მთავრობა საფრანგეთისკენ არ გაისტუმრეს...

მერე, მთელი 70 წელიწადი ქვეყნის მთავარი გაზეთი იყო „კომუნისტი“, რომელიც ერთპარტიული წნეხისა და უმკაცრესი ცენზურის მიუხედავად, მაინც ახერხებდა ქართული ეროვნული ცნობიერების დამკვიდრებას, ქართველ მწერალთა და მეცნიერთა ეროვნული ნააზრევის, ეროვნული მიღწევების პროპაგანდას, ხელოვნებისა და სპორტის განვითარებისთვის ხელშეწყობას, ჯანსაღი თაობების, ეროვნულად მოაზროვნე ახალგაზრდობის აღზრდას...

სხვათა შორის, ცნობილმა იურისტმა და სამართალმცოდნემ, „კომუნისტის“ ბოლო რედაქტორმა მინდია უგრეხელიძემ იგრძნო რა, საიდან უმერავდა ეროვნული მოძრაობის ძლევამოსილი ქარი, გაზეთს „ახალი საქართველო“ დაარქვა და ზვიად გამსახურდიას გაპრეზიდენტებამდე ამ სათაურით იმეჭდებოდა. ქართველი ხალხის თითქმის 100-პროცენტებიანი ნდობით არჩეულმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ უყოყმანოდ აღადგინა 1918 წლის გაზეთი იმდროინდელი ლოგოთი და მას შემდეგ „საქართველოს რესპუბლიკა“ წარმოუდგენელი ერთგულებით ემსახურება ქართველ ხალხს...

ხალხს და ანა მთავრობას! თუმცადა, როგორც უკვე ვთქვი, საბაზრო ეკონომიკის დაუნდობელი კონკურენციის პირობებში, ჩვენ სენსაციურ ჭორებსა და ძვირადღირებულ ლანძღვა-გინებას არ დავხარზმებოვართ და მხოლოდ საკუთარი მწირი შემოსავლებით ვირჩენთ თავს. არადა, „საქართველოს რესპუბლიკა“ მუდამ ღირსი იყო საზოგადოებისგან (ხელისუფლებისგანაც!) მეტი ყურადღებისა. გაზეთის მცირე ტირაჟი და თითო ეგზემპლარის მიზერული ფასი მხოლოდ სტამბის ხარჯებს ვერ ფარავს, თანამშრომლები კი მათხოვრულ ხელფასებს სჭერდებიან.

თუ მკითხველი არ გააქტიურდა და ჩვენი გაზეთი არ იყიდა, თუ ქართველმა ბიზნესმენებმა მეტი რეკლამა არ განათავსეს „საქართველოს რესპუბლიკაში“, 105 წლის გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია, აუცილებლად დაიხურება!

მეგობრულ აზერზაიჯანსა და სომხეთში ჩვენი რანგის გაზეთებს თავს ევლებიან და უმურველად ესმარებიან!..

ეს ხომ თითოეული ჩვენგანის, განსაკუთრებით – მთავრობისა და პარლამენტის თითოეული წევრის სირცხვილია!

უმორჩილესად გთხოვთ, წაიკითხოთ გაზეთის დღევანდელი საიუბილეო ნომერი, წააკითხოთ სხვებსაც და... მოგვწეროთ, ღირსია თუ არა საქართველოს ბოლოქარი ისტორიის პირუთვნელი მემკვიდრე „საქართველოს რესპუბლიკა“ ასეთი უყურადღებობისა?!

მთავარი რედაქტორი

ღახარების მსურველებს შეგიძლიათ, ნებისმიერი ოქონობის თანხა ჩაგვირიცხოთ შემდეგ ანბარიშვი: №GE90BG000000538329790

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 ძამჭამპის ბაზრი №170
 მთავარი რედაქტორი
 სპარტაკ ძოზულია
 599 36-00-35
 მთავარი რედაქტორის მოადგილე
 მამუკა ვაშაკიძე
 597-22-07-04
 ტექნიკური რედაქტორი
 კახა ძორიძე
 პასუხისმეგებელი რედაქტორები:
 გურამ გოგიაშვილი
 599 53-76-16;
 ალიკო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

გამომცემლობა:
 შპს 100 – ახალი საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 36-00-35
 შპს „თანადგომა“-1 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 იკაქდავა სტამბა „ქოლორი“
 ქ. ბაღდაშაძის №3

კოდორ ჰაუზი
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 2 009882 616932
 ავტორთა სახურადლოდ!
 რედაქციის მიერ შეუქვეთავი მასალაი დანიკაქდავა ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრობაი, შესაქლოა, გუდამ არ ემთხვეოდან რედაქციის პოზიციას. ვაქტავის სიუჟეტაჟე პასუხს აბავან ავტორაი.

გაზეთის მომღვენო ნომერი გაეოვა ხუთშაბათს, 27 ივლისს

სრ	უსხოური ვალუტის ქარსი: აუუ ღოლარი - 2.5771; პირი - 2.8673; ბრიტანული პირანქა სტერლინგი - 3.3111; 100 რუბლი - 2.8595; თურქული ლირა - 0.0957; აზერბაიჯანული მანათი - 1.5159; 1000 სომხური დრამი - 6.6742	აიწლი 24 ივლისისთვის აკოონაქლოთი საქართველო: ბარი - ლამი +18, ღლე +35 მთიანი რაიონი - ლამი +13, ღლე +30 ღახარაქლოთი საქართველო: ბარი - ლამი +18, ღლე +32 მთიანი რაიონი - ლამი +16, ღლე +31 თბილისი: ლამი +22, ღლე +34	ღახვირქათი, მოგვერქათი: ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35 ელ. ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ვებ-გვერდი: www.sakresp.ge
----	--	---	---